პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

24

დღიური

— დაიხურა ნიჟეგოროდის ბაზრობა.

— საფრანგეთმა არ მისცა ახალი სესხი პოლონეთს.

— აღმოსავლეთ გალიციის სანავთო წარმოებაში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა.

— რურიდან წასვლის წინ საფრანგეთის ჯარები არბევენ [illegible] მცხოვრებთ.

— იტალიაში შესაძლებელია [illegible] მუსოლინის მთავრობაში.

— ადგილობრივ [illegible] (საფრანგეთში) გავიდნენ [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 213 (1068) ხუთშაბათი 18 სექტემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 213 (1068)

დღეს, ხუთშაბათს, 18 სექტემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე
დანიშნულია საქ. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
საქ. ცაკის მდივანი ჰ. სახოშვილი.

სოფლად

მენშევიკების ავანტიურამ სხვათა შორის აშკარა გახადა ერთი ფაქტი, რომელზეც ჩვენ რამოდენიმეჯერ მიუთითეთ: სოფლის გლეხი „ყრუ" აღმოჩნდა, რომ ავანტიურისტების მოწოდებანი არ გაეგონათ და საკმაოთ შეგნებული, რომ არ გაჰყოლოდა „მამულიშვილებს" ჩვენ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, საერთოთ გლეხობაზე და არა ერთეულებზე ან, აქ-იქ, უმნიშვნელო ჯგუფებზე, რომლებსაც ყოველთვის და ყველგან „იპოვნის" ვისაც უნდა და რა საქმისთვისაც უნდა. ასეთი ერთეულები და ჯგუფები დამახასიათებელია როგორც გამონაკლისი და საერთო სურათის, საერთო მოვლენის (რომელიც ზევით აღვნიშნეთ) დამადასტურებელი.

ამნაირათ უპარტიო გლეხთა მასა არ გაჰყვა ავანტიურისტებს. პირიქით, სწორეთ ამ უპარტიო მასაში გამოიწვია ამ ამბებმა საშინელი გულისწყრომა და აამოძრავა კიდევაც ის ყველა ელემენტების წინაალმდეგ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ გამოსვლებში. თუ გლეხობის ასეთმა ამოძრავებამ ზოგან მიიღო სამწუხარო ექსცესების ხასიათი ზოგიერთ ნაძირალების წინაალმდეგ—ამაში დანაშაული არიან თვით უკანასკნელები. პარტია და ხელისუფლება შეებრძოლა ამგვარი ექსცესების მეთაურებს და მონაწილეთ და დრო შეიქნა საჭირო, რომ ამ მხრივაც სიწყნარე დამკვიდრებულიყო, მღელვარება ყოფილ თავად-აზნაურების წინაალმდეგ შენელებულიყო. აქაც გლეხობამ გამოიჩინა ერთნაირი დისციპლინა, აქაც, ამ შემთხვევაშიც, გაჰყვა ის პარტიას და ხელისუფლებას.

მაგრამ არა მარტო ეს გამოაშკარავდა წარსული ავანტიურის დროს. ნათელი გახდა ზოგი სუსტი მხარეებიც ჩვენი პარტიულ სახელმწიფოებრივი მუშაობისა სოფლად, უკეთესათ რომ ვთქვათ, ეს სუსტი მხარეები უფრო სიცხადით წამოიჭრენ ჩვენს წინ ვინემ მშვიდობიანი, ნორმალური საქმიანობის პერიოდში, ავანტიურამდე.

დავიწყოთ ჩვენი სამეურნეო თუ სახელმწიფო დაწესებულებათა აპარატიდან. ვინ აღმოჩნდა ამ აპარატში „კრიზისის" ჟამს? ჩვენ იქ დავინახეთ არსებული წესწყობილების მტრები, რომლებიც ზოგან იარაღით ხელში გამოვიდნენ ჩვენს წინაალმდეგ. რასაკვირველია, ასეთები იყო მოსამსახურეთა უმნიშვნელო უმცირესობა, ზოგან ერთეულები, მაგრამ ცხადია, რომ ამას ვერ მოვითმენთ. ჩვენ არა ერთხელ შევდგომივართ ჩვენ დაწესებულებათ წმენდას, მაგრამ სხვადასხვა „მასინაციების" და ცუღლუტობის საშუალებით მაინც ელემენტებს, სახელმწიფოსა და მშრომელი ხალხის მტრებს მოუხერხებიათ ჩვენი აპარატის პუჭრუტანებში „გახირება" და იქ დარჩენა „მოხერხებული" დროსათვის. აქედან გადაუდებელი ამოცანა: ხელი უნდა წამოვავლოთ ისეთ „ცოცხს", რომელიც უკეთ გასწმენდს ყველა დაწესებულებებს ამ ნაგავისაგან. ეს უნდა გატარდეს (სადაც ჯერ კიდევ არ გატარებულა) დაუყოვნებლივ და წმენდის უსასტიკესი წესის დაცვით.

გარდა ამისა სოფლათ სალი ინფორმაციის უქონლობა განსაკუთრებული სიმწვავით შეიქნა საგრძნობი წარსულ ამბების დროს, როდესაც ყოველი ავანტიურისტი—მაწანწალა ხალხს მიმართავდა ათასნაირი ჭორების გასავრცელებლად და ზოგან ჰპოულობდა ბრიყვებს. რასაკვირველია, ასეთები ცოტანი იყვნენ, მაგრამ რაც იყო იმასაც არ უნდა ექნეს ადგილი ჩვენს სოფელში. საკითხი ინფორმაციის ფართოთ დაყენების და საერთოთ იდეიურ გავლენის შესახებ უნდა მოვაგვაროთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. ეს რთული საქმეა ჩვენი სოფლის ჩამორჩენილობის, ფოსტა-ტელეგრაფის, ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიციის მოუწყობლობის პირობებში. ამისათვის დრო და დაუღალავი მუშაობაა საჭირო, მაგრამ ეს საქმე უნდა გაკეთდეს.

ერთი უმთავრეს საკითხთაგანია აგრეთვე ჩვენი ადმინისტრატიული რაიონების მდგომარეობა. რაიონებათ დაყოფის საქმე კვლავ წამოჭრილია ჩვენს წინაშე. როგორც ცნობილია, მოხდა ერთეულების გადიდება. ჩვენ უნდა შევუდგეთ სულ ახლო მომავალში ამ საკითხის ხელ-ახლა პრაქტიკულათ გადასინჯვას და უარვყოთ რაიონებათ დაყოფა, როგორც ეს მიღებული იყო დღემდე. ამ გზას უნდა დავადგეთ ისევე და გავამაგროთ წვრილი ერთეულების აპარატი, როგორც ამას ჰქონდა ადგილი არსებულ რაიონების შექმნამდე.

თუ მიუხედავათ აქ ჩამოთვლილ ნაკლულევანებათა ჩვენი სოფლის მშრომელი მასა მხარში ედგა ხელისუფლებას და უსწორდებოდა ბანდიტებს —ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისი, რომ მასა შეუსისხლხორცდა საბჭოთა წყობილებას და გამოცდილებით დარწმუნდა, რომ ერთათ ერთი მისი ინტერესებისა და ნებისყოფის გამომხატველია საბჭოთა ხელისუფლება.

როგორ უნდა იქნას გადიდებული შრომის ნაყოფიერება

I

წინა წერილში აღვნიშნეთ, რომ შრომის ნაყოფიერება ამ ჟამად ჩვენთვის არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი. აქ შევეცდებით გავარჩიოთ, თუ რა ზომებს უნდა მივმართოთ შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის.

შრომის ნაყოფიერების საკითხი ორი ნაწილისაგან შესდგება: **საერთო შრომის ნაყოფიერება და პირადი შრომის ინტენსივობა** ან თითოეული მუშის ენერგიის დახარჯვა.

საერთო შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა თითოეული მუშის შრომის ინტენსივობაზე. რამდენად მეტი იქნება ამ წარმოების მუშების პირადი ინტენსივობა, იმდენად მეტი იქნება საერთო შრომის ნაყოფიერება, ესე იგი იმდენათ მეტს საქონელს მივიღებთ ჩვენ ამ წარმოებიდან. მაგრამ საერთო შრომის ნაყოფიერება—ან წარმოების პროცესის საბოლოო შედეგი, მარტო პირად შრომის ინტენსივობაზე არ არის დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, თუ როგორ არის დაყენებული წარმოების საორგანიზაციო-სამეურნეო მხარეები. რამდენადაც ეს უკანასკნელი ცუდათ იქნება დაყენებული, იმდენად შემცირდება წარმოების პროცესის საბოლოო შედეგი.

მაშასადამე შრომის ნაყოფიერების გაზრდის საკითხში ჩვენ უნდა შევეხოთ ერთი მხრივ იმ ზომებს, რომლებიც გაზრდის პირად შრომის ინტენსივობას და მეორე მხრივ იმას თუ როგორ უნდა იქნეს მოწესრიგებული წარმოების სამეურნეო-საორგანიზაციო მუშაობა. თუ რაში გამოიხატება წარმოების სამეურნეო საორგანიზაციო მხარეთა მოწესრიგება, ეს დამოკიდებულია თითოეულ საწარმოო დარგის პირობებისაგან. აქ შეიძლება მოვიყვანოთ მხოლოდ ის რაც ყველა საწარმოო დარგებისათვის საერთო არის. სახელდობრ:

მუშა-ძალის შერჩევა. თითოეული წარმოება უნდა ცდილობდეს იყოლიოს სათანადო პროფესიის დახელოვნებული მუშები. საქმისადმი უვარგისი, ან ნაკლებად გამოსადეგი პირი არავითარ სარგებლობას არ მოიტანს და სხვებსაც ხელს შეუშლის. ასეთი უვარგისი მომუშავეების სულ მცირე პროცენტიც საგრძნობად დასცემს საერთო შრომის ნაყოფიერებას.

სამეურნეო ორგანიზაციები პროფესიონალურ კავშირებთან ერთად უნდა ცდილობდნენ მუშების კვალიფიკაციის მომატებას (მოკლე ვადიან პროფესიონალურ ტეხნიკურ კურსების საღამოობით მოწყობით და სხვა ზომებით).

საერთოდ მომუშავეთა შერჩევას უნდა ქონდეს არა საქველმოქმედო და კაცთმოყვარეობის ხასიათი, არამედ ჯანსაღი სამეურნეო თვალსაზრისი. თუ გამოსადეგია მომუშავე საქმისათვის მისი ყოლა სასურველი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უნდა შეიცვალოს ამ საქმეში უფრო დახელოვნებულ მომუშავით. ამ საკითხში მერყეობა და კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით მისი გადაწყვეტა შეაფერხებს ჩვენი მშენებლობის საქმეს და არ მოგვცემს საშუალებას მაღლა ავწიოთ შრომის ნაყოფიერება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ წარმოება-დაწესებულება არის ადგილი, სადაც თითოეული მომუშავე უნდა აკეთებდეს საქმეს, როგორც რიგია. რამდენათ უკეთესი და საქმისათვის დახელოვნებული მომუშავენი იქნებიან წარმოება-დაწესებულებაში, იმდენათ მეტი საქმე გაკეთდება და გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

დამხმარე და ძირითად მუშებს შორის პროპორციის დაცვა. ეს საკითხი ჯერ კიდევ ვერ არის მოგვარებული. რამდენათ მეტი იქნება დამხმარე მომუშავეთა რიცხვი, იმდენათ ნაკლები იქნება საერთო შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერებას ქმნის ძირითადი მუშა თავის ინტენსივობით, დამხმარე კი ასრულებს ისეთ მეორე ხარისხოვან სამუშაოს, რომელიც ოდნავათაც არ ზრდის შრომის ნაყოფიერებას. დამხმარე მომუშავენი აუცილებელი არიან, მაგრამ განსაზღვრული რაოდენობით. ამიტომ დამხმარე მომუშავეთა რიცხვი ძირითად მუშებთან შედარებით უფრო მცირე იყოს, ვიდრე ეხლა არის.

დამხმარე ჯგუფში უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ტრესტების და წარმოებების კანტორების მოსამსახურენი. რაც მეტი იქნება მათი რიცხვი, იმდენათ მეტი ხარჯების გაღება დასჭირდება მათ შესანახათ წარმოებას თავის შემოსავლიდან. შრომის ნაყოფიერების შექმნაში კი მათ არავითარი წვლილი არ შეაქვს. ერთი და იგივე ორდერის სხვადასხვა ფორმით შედგენა და გადაწერა არ გაზრდის ამ საწარმოო დარგის პროდუქციას. საჭიროა ტრესტების და სამეურნეო ორგანოების კანტორების მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება და დაყვანა იმ დონემდე, რომელიც არსებობდა ომამდე.

სამუშაო დღის სრული გამოყენება. ჩვენ კიდევ ვერ შევეჩვიეთ დროის დაფასებას. ვკარგავთ ტყუილა უბრალოთ არა მარტო წუთებს, არამედ მთელ საათებსა და ხანდახან მთელ დღეებსაც (შეიძლება ეს აღმოსავლეთური ჩვეულება იყოს). არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს. სამუშაოს დაგვიანებით დაწყება, მუშაობის დროს დაუთავებელი და უთავბოლო სიარული, ხანტი მუშაობა, ერთმანეთში ბაასი და სხვა ამგვარი პირდაპირ ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რომ **მუშაობის დაწყებიდან გათავებამდე არ იქნეს დაკარგული არც ერთი წუთი.** სამუშაო დღე უნდა იქნეს დატვირთული მაქსიმალურად.

ზედმეტი ხარჯების შემოკლება. საერთოდ ზედმეტ ხარჯათ უნდა ჩაითვალოს ისეთი ხარჯი, რაც წარმოებას არაფერს არ შემატებს, დღესდღეობით არ მოიტანს სარგებლობას არა მიზანშეწონილია და არ არის გამოწვეული აუცილებლობით. ზედმეტი ხარჯი მისი მაჩვენებელია, რომ წარმოების ხელმძღვანელი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. არა აქვს სალი შეხედულობა სამეურნეო საქმეზედ და ნაკლებად იცნობს მასზე დავალებულ საქმეს. ზედმეტი ხარჯები შეიძლება ბოროტი განზრახვით იყოს გამოწვეული და შეიძლება უნებლიეთაც. ბოლოს და ბოლოს ორივეს ერთნაირი შედეგი მოაქვს,—ამცირებს წარმოების შემოსავალს და ძირს სცემს საერთო შრომის ნაყოფიერებას.

ზედმეტ ხარჯებს უნდა მიეაწეროთ აგრეთვე ისეთი ხარჯების გაწევა, რომელიც მიმართული არიან გარეგნულ ფორმის დამშვენებაზე. ცხადია, რომ ლამაზად მოწყობა, კარგი საქმეა, მაგრამ ჯერ ამისათვის დრო არ დამდგარა, ცოტა კიდევ უნდა მოვიცადოთ. (ხანდახან გარეგნულ სიმშვენიერის შექმნა აბსურდამდეც მიდის ხოლმე, მაგალითად სამთომადნო კავშირის მუშაკების გადმოცემით, ჭიათურაში სადაც შავი ქვის მტვერი ყველაფერს აშავებს, ქვის სარეცხი ქარხანა თეთრად შეუღებიათ).

ნედლი და სათბობი მასალის ეკონომიასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ხარჯების შემცირებაში. კარგად დაყენებული წარმოებაში, არამც თუ სწარმოებს ნედლი მასალის ეკონომია, არამედ მასალის ნარჩენის შენახვასაც დიდ ყურადღებას აქცევენ.

წარმოების ტეხნიკური მოწყობილობა. შრომის ნაყოფიერების გაზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ტეხნიკურ მოწყობილობას და მანქანებს. ამ საკითხში მართალია ბევრს ვერ გავაკეთებთ, ვინაიდან ახალი მოწყობილობის და მანქანების დადგმისათვის ჩვენ ნაკლები სახსარი გვაქვს, მაგრამ ნაწილობრივათ უნდა ვცადოთ შევიტანოთ გაუმჯობესება მოწყობილობაში და იქ, სადაც შესაძლებელი იქნება შევცვალოთ ძველი სისტემის მცირე ნაყოფიერი მანქანები ახალით.

კალკულიაცია (ან ანგარიში იმისი თუ რამდენი ჯდება გასაკეთებელი, და რამდენი დაჯდა გაკეთებული საგანი) ჩვენ სამეურნეო ორგანოებში ძალიან ცუდათ არის დაყენებული. „რაბოჩაია პრავდა"-ს გუშინწინდელ ნომერში მკითხველი წაიკითხავდა მუშკორის ცნობას იმის შესახებ, რომ „გრუზოლეს" ყუთების გაკეთება აუღია სამოცდა ხუთ კაპიკათ, როცა მას თვითონ უჯდება 1 მან. და 8 კაპ. გამოდის, რომ ის მოგების მაგივრათ აგებს ამ საქმეში.

საერთოდ არაფრათ არ ივარგებს ის წარმოება და არავითარ დადებით შედეგებს არ მოიტანს მისი მუშაობა, თუ წარმოების ადმინისტრაციამ არ იცის თავის ნაწარმოების ნამდვილი ღირებულება.

ს. გ.

მატყლის დამზადების სეზონი და ჩვენი ამოცანები*)

მატყლის დამზადების ოპერაცია უკვე დაიწყო. რაიონებში სათანადო კოოპერატიული ორგანიზაციები აწარმოებენ მუშაობას.

პრესაში უკვე იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სამი წელი არის უკვე, რაც მატყლის დამზადება და გასაღება ხდება ფრიად არა სასურველ პირობებში. ამას უნდა მიემატოს ის, რომ მატყლის დამზადების და გასაღების საქმეში არავითარ შეთანხმებულ და წინდაწინვე გათვალისწინებულ მუშაობას არ ქონია ადგილი. გამეფებული იყო საშინელი მეტოქეობა და ბრძოლა მონათესავე კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის. ამას ადგილი ეხლაც აქვს, რასაც დიდი ზიანი შეუძლია მოუტანოს საქმეს და სრულიად ჩაშალოს მატყლის დამზადება. სპეკულიანტები ისარგებლებენ ამ მდგომარეობით და ჩაიგდებენ მატყლის ბაზარს ხელში.

ჩვენი ამოცანა კი მდგომარეობს იმაში, რომ კერძო კაპიტალმა ვერ შესძლოს ვერც ერთი გირვანქა მატყლის დამზადება. რა არის ამისთვის საჭირო? უპირველესად ყოვლისა საჭირო არის მატყლის დამზადების უფლება მიეცეს განსაზღვრულ და მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებს, რომელნიც დგანან ახლოს მეცხვარეობასთან, აქვთ მასთან ორგანიზაციული კავშირი, იცნობენ ამ საქმეს, აქვთ გამოცდილება, რომლის გამოყენება საჭირო არის, რომ ახალ შეცდომებს არ ექნეს ადგილი.

წინეთ „შერსტი"-ს პოლიტიკამ მეცხვარეებში გაუგებრობას მისცა ადგილი. ხელოვნურად ქმნიდენ ისეთ პირობებს, რომ მატყლის ფასები დაცემულიყო, ასაბუთებდენ ამას იმით, რომ ვითომ მატყლის ბაზარი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე არ მოიპოვებოდეს. ეს მაშინ, როდესაც საზღვარგარეთიდან, შემოტანილ უნდა იქნას დიდძალი მატყლი, და შინაურ ბაზარზე დამზადებული მატყლი სრულებით საკმაო არ არის. მატყლის დასამზადებლად გადადებული თანხა ხმარდებოდა სხვა საქმეს, ან კიდევ უქრავად ინახებოდა „შერსტის" სალაროში. მატყლის დამზადებას ხელი მიჰყავდა ყველამ, ვისაც კი პროვინციაში გაჰვირნება არ ეზარებოდა.

წელს მაინც უნდა ავიცილოთ ყველა ეს შეცდომები, წინააღმდეგ შემთხვევაში მატყლის ოპერაცია ეხლაც ჩაგვეშლება. პირველი ამოცანა, რომელიც ეხლა უნდა გადაწყდეს ეს ისაა, რომ მატყლის დამზადების უფლება მიეცეს მარტო „ბირლიკს" და „წყემს", რადგან ორთავე ეს ამხანაგობა მეცხვარეთა ორგანიზაციებია, მეცხვარეებიც იცნობენ და ენდობიან მათ.

ცეკავშირი და წარმოკავშირი არ არიან მეცხვარეთა ორგანიზაციები. ამასთან ერთად, როდესაც ბევრი ორგანიზაციები გამოდიან ბაზარზე, ცენტრში გამომუშავებულ გეგმას რაიონებში არღვევენ აგენტები და სპეცები და რაც მთავარია, როდესაც მეცხვარე ბევრ მყიდველს ხედავს ბაზარზე იბნევა, ვის მისცეს მატყლი. რომელ ორგანიზაციას ენდოს, არ იცის. ეს კი აიძულებს მას დაუკავშირდეს სპეკულიანტებს. საჭიროა ამასთანავე რათა „მწყემს" და „ბირლიკს" მიეცეთ სათანადო თანხა ავანსების დასარიგებლად დაუკავშირდენ რომელიმე ორგანიზაციას. ეხლა კი „მწყემსი" დაკავშირებულია წარმოკავშირთან, წარმოკავშირი აგირავებს „მწყემსის" მატყლს, ღებულობს თანხებს ბანკიდან, მიღებულ თანხას ატარებს თავის წიგნაკში, სანამ წარმოკავშირში მივიდოდეს თანხა და მერმე ის გადაეცემოდეს „მწყემს" ან კიდევ „ბირლიკს" მას ემატება პროცენტი. წარმოკავშირი მონაწილეა ოპერაციის. მოგების ერთი მესამედი მიაქვს მას.ბანკიც და „შერსტიც" აგრეთვე მოგებაზე ფიქრობს. ეს კი აძვირებს მატყლს. ამიტომ საჭირო არის სარეგისტრაციო ინსტანციები შემცირდეს; „მწყემს" და „ბირლიკს" უნდა უფლება მიეცეს დამოუკიდებლივ დაუკავშირდენ იმ ორგანიზაციას, საიდანაც გამოდის თანხა, მატყლის დამზადებისთვის. ამით მატყლი სახელმწიფოსაც ნაკლები დაუჯდება და გლეხებსაც მატყლში მეტი მიეცემად, რადგან ბანკიდან გამოტანილ თანხას მარტო ერთ ადგილას დაედება პროცენტი, რაც საკმაო დიდ თანხას შეადგენს და მატყლის ხარჯებს ედება. მოგების არავითარ განაწილებას ადგილი არ უნდა ქონდეს და გარდა საორგანიზაციო ხარჯებისა უნდა დაუბრუნდეს დამამზადებელ ორგანიზაციებს.

არის ტენდენცია, რომ „მწყემსი" და „ბირლიკი" გადაიქცეს მატყლის დამამზადებელ აგენტთა ორგანიზაციათ. მათ ასე უცქერიან დღეს და როგორც სპეკულიანტებს ეპყრობიან. აქ ირღვევა კოოპერატიული პრინციპი და შეთანხმებულ-შეკავშირებული მუშაობაც, რის დაშვება შეუძლებელია. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობენ მეცხვარეთა კოოპერატიული ორგანიზაციები „მწყემსი" და „ბირლიკი". საჭიროა ყველამ გაუწიოს მათ ანგარიში, რადგან საქართველოს მეცხვარეების 98 პროც. აღნიშნულ ორგანიზაციებში არის გაერთიანებული და ვინც გარეთ არის დარჩენილი, ისიც სცდილობს გახდეს აღნიშნულ ორგანიზაციების წევრათ. აი მოკლეთ ის ამოცანები, რომელთა განხორციელება საჭიროა მატყლის ოპერაციის სასურველად ჩატარებისათვის.

მ. ცინცაძე.

---

*) კამათის წესით.

საერთაშორისო იმპერიალიზმის ხრიკები ჩინეთში

„ჩინეთის მშრომელი ხალხი მაგალითს აიღებს საბჭოთა კავშირის მშრომელებისაგან".

ამერიკა აქტიურად ჩაერია ჩინეთის საქმეებში და იქ ჯარი გაგზავნა

საბჭოთა კავშირის გლეხობა მასიურად ეწერება წევრად ჩინეთის დაცვის საზოგადოებაში.

კბილებს დავამტვრევთ

ამხ. რადეკის მოხსენება

მოსკოვი, 17 სექტემბერი. რუსეთის კომპარტიის მოსკოვის ორგანიზაციის აქტიურ მუშაკთა გუშინდელ კრებაზე ამხ. რადეკმა მოხსენება გააკეთა ჩინეთში იმპერიალისტური „[illegible]" და საერთაშორისო პროლეტარიატის ამოცანების შესახებ.

მოუთხრო რა კრებას ჩინეთის განვითარების ისტორია, ამხ. რადეკმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოების ეხლანდელი ინტერვენციის უმაღლესი ხაზი იყო საბჭოთა კავშირის ცნობა, რომლის გარშემოც დაიწყო გაფართოებული ბრძოლა.

ჩინეთში მომხდარ ამბების პოლიტიკური მნიშვნელობა, — სთქვა ამხ. რადეკმა—დიდია. თვითეულ შეგნებული პროლეტარის მოვალეობაა თვალყური ადევნოს იმას, რაც ჩინეთში ხდება.

ჩვენგან იღებენ მაგალითს

საუბარი სუნ-იატ-სენთან

პეკინი, 16 სექ. კანტონის გაზეთებში დაბეჭდილია საუბარი სუნ-იატ-სენთან „ბოქსერის" ომის შესახებ, რომელიც ხელმოწერილი იყო ჩინეთისა და დიდი სახელმწიფოების მიერ ბოქსერთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ 1901 წელში.

სუნ-იატ-სენმა აღნიშნა, რომ ბოქსერის ომმა ჩინეთი კოლონიებზე უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააყენა. ბოქსერის ომმა საშუალება მისცა იმპერიალიზმს რკინის მარწუხებში მოექცია ჩინეთი, რაც უშლის დღემდე ხელს ჩინეთის ხალხის მისწრაფებას გაერთიანებისა და თვითმართველობისაკენ.

სუნ-იატ-სენი ფიქრობს, რომ **იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა უარი უნდა სთქვან კონტრიბუციის ნაწილზე,** რომელიც მათ ერგებათ ბოქსერთა აჯანყების გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში **ჩინეთი იძულებული იქნება მოიქცეს ისე, როგორც მოიქცა საბჭოთა კავშირი, რომელმაც გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განთავისუფლდენ ერები უცხოელთა დიქტატურისაგან.**

იმპერიალისტების ხრიკები

პეკინი. 16 სექ. კანტონის პრესა აქვეყნებს ტოკიოდან მიღებულ ცნობას, რომლიდანაც სჩანს, რომ ჩინეთის „შეგავლენის ზონებათ" დანაწილების პროექტი განხილული იყო ჯერ კიდევ იუზის ყოფნის დროს ლონდონში. ვაშინგტონის შეთანხმების მთავარ მონაწილეთა შორის სჭარბობს ის აზრი, რომ ეხლა დადგა დრო, როდესაც სახელმწიფოებს შეუძლიათ აქტიურათ ჩარევა ჩინეთის საქმეებში. ამ მხრივ მორგანის ჯგუფმა სათანადო ზეგავლენა მოახდინა იუზზე ამ უკანასკნელის ვაშინგტონიდან გამგზავრების წინ. **ლონდონში იუზი პრინციპიალურათ დათანხმდა ინტერვენციაზე,** რომელიც უნდა მოხდეს იმ ფორმულის თანახმათ, რომელშიაც გათვალისწინებულია სახელმწიფოების უფლება „უცხოელთა სიცოცხლის და ქონების დაცვაზე". **ამ ფორმულაში ნათქვამია, რომ სახელმწიფოები არ უნდა შეჩერდენ აქტიური გამოსვლების წინაშეც, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.**

ჩვენი გლეხობის ხმა

სტავროპოლი, 17 სექტემბერი. გლეხთა სახლში გაიმართა ბაზარზე ჩამოსულ გლეხთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის წარმომადგენელმა მოხსენება გააკეთა ჩინეთის მდგომარეობის შესახებ. მოხსენების შემდეგ გლეხებმა დაადგინეს კოლექტიურად შევიდნენ წევრებად საზოგადოებაში „ხელები შორს ჩინეთისაგან".

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 16 სექ. გაზეთი „მიგაი შოგიო", რომელიც გამოხატავს ზოგიერთ კომერციულ წრეების ინტერესებს, აცხადებს, რომ **ამერიკის და ინგლისის მიზანს შეადგენს შეერთებული ადმინისტრაციის დაწესება ჩინეთის რკინის გზებზე, რის შემდეგაც ჩინეთში დამყარებული უნდა იქნეს ეგრეთ წოდებული საერთაშორისო რეჟიმი, გაზეთის აზრით, ამას შედეგათ მოყვება ჩინეთის დანაწილება მთელ რიგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებათ.**

გაზეთი ფიქრობს, რომ იაპონიამ ძლიერი ოპოზიცია უნდა დაიჭიროს ჩინეთის საქმეებში ჩარევის წინაალმდეგ. ჩინეთის სუვერენული უფლებები და ტერიტორიალური განუყოფლობა დაცული უნდა იქნეს.

სეიუკაის პარტიის ორგანო „ცუო" ამბობს, რომ იაპონია არ უნდა ჩაერიოს ჩინეთის საქმეებში **წინააღმდეგ იმ წინადადებებისა, რომლებიც ინგლისისა და ამერიკისაგან გამომდინარეობენ.**

მდგომარეობა ფრონტზე

პეკინი. 16 სექტემბერი. კანტონის მთავრობის სხდომაზე სუნ-იატ-სენის თავმჯდომარეობით მიღებულია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჩრდილოეთში ექსპედიციის გაგზავნის შესახებ.

პროვინციის გარნიზონები უკვე დაიძრენ საზღვრისაკენ. მოელიან დეკლარაციის გამოქვეყნებას, რომელშიაც განმარტებული იქნება ნაციონალური მიზნები, რომელთაც ისახავს სუნ-იატ-სენი ექსპედიციის გაგზავნით. დეკლარაციაში დახასიათებული იქნება გომინდანის პარტის ამოცანები, რომელთაგან უმთავრესია—ბრძოლა უცხოეთის იმპერიალიზმის და შინაური მილიტარიზმის წინაალმდეგ.

ნაუენი. 17 სექტემბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობით, ჩინეთის ახალმა პრემიერმა იენმა შეადგინა კაბინეტი, რომელშიაც ველინგტონკუმ დაიკავა გარეშე საქმეთა მინისტრის ადგილი. სამხედრო მინისტრად დაინიშა ლიუ-დინი.

ნაუენი. 17 სექტემბერი. უკანასკნელ ცნობების თანახმად, **ბრძოლა სწარმოებს შანხაიდან 20 მილის დაშორებით.**

ჩჟან-ცზო-ლინმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ებრძოლოს პრეზიდენტ ცაო-კუნს. მან გადასწყვიტა აგრეთვე მიიღოს **პრეზიდენტის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარების უმაღლესი სარდლობა.**

პეკინი. 16 სექტ. მდგომარეობა ფრონტზე უცვლელია. პროვინციის ჩე-კიანგის ჯარებმა ლი-უ-ხოს ახლოს ტყვეთ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის ორი ბატალიონი და ხელში ჩაიგდეს ამუნიცია. ოფიციალური ცნობა კი ამბობს, რომ პროვინციის კიანგ-სუს ჯარებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე, რომელმაც დიდი ზარალი ნახა.

მანჯურიის გუბერნატორს ჩჟან-ცზო-ლინს ისევ გაურკვეველი პოზიცია უჭირავს. ამავე დროს ის საზღვართან დიდძალ ჯარებს უყრის თავს. ჩჟილის პარტიამ მიბაძა ჩჟან-ცზო-ლინის მაგალითს.

პეკინ-მუკდენის ხაზზე ბილეთებს ყიდიან მხოლოდ [illegible], სადაც შინჯავენ პასპორტებს და მგზავრთა ბარგს.

უ-პეი-ფუმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისი ჯარები ჯერ არ ჩარეულან ბრძოლაში, მაგრამ თუ მას მთავრობა უბრძანებს, ის გაილაშქრებს სუნ-იატ-სენის წინააღმდეგ.

პეკინი. 16 სექ. შანხაიში უცხოელებმა ჩინელების უბნისკენ მიმავალ ქუჩებზე მოაწყვეს მავთულის ხლართი. შესდგა ვოლონტერთა რაზმი, რომელშიაც შედის 2.000 კაცი. მერიკიდან მოვიდა კიდევ ხუთი ჯავშნიანი გემი.

ინგლისის მუშები მაკდონალდის წინააღმდეგ

„ინგლისის მუშებს ეცოდებათ მაკდონალდი, რომელიც დაიგნა ბურჟუაზიის სამსახურში"

„ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან შეამსუბუქებს უმუშევრობას ინგლისში"

უნგრეთის მთავრობამ გადასწყვიტა განაახლოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

მუშების ხმა

ლონდონი 16 სექტ. ინგლისის ტრანსპორტის მუშათა ფედერაციის მდივანმა ვილიამსმა „დეილი ჰერალდის" ფურცლებზე მოათავსა მკაცრი წერილი მაკდონალდის მიმართ, იმ წინასიტყვაობის გამო, რომელიც მაკდონალდმა წაუმძღვარა წიგნს „სოციალიზმი კრიტიკულიც და კონსტრუქტიულიც" ახალ გამოცემას.

ვილიამსი სწერს:

„ჩვენ განცვიფრებით წავიკითხეთ მაკდონალდის შენიშვნა იმის შესახებ, რომ გაფიცვები და უმუშევრებისათვის დახმარების გაწევა ეწინააღმდეგება სოციალიზმს"-ო. ჩვენ შევდივართ, მაკდონალდის მდგომარეობაში, ჩვენ გვესმის მისი გაჭირვება და ამიტომ დახმარებას უწევთ და ზოგჯერ კიდეც ვამართლებთ მას. ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ გაფიცვები და უმუშევრებისათვის დახმარების გაწევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმს, არამედ ეს არის მხოლოდ ცდა შეასუსტოთ უთანასწორობის სისტემა, **მაგრამ ასეთი იერიში ტრედ-იუნიონების წინააღმდეგ, რომელიც მაკდონალდს მიაქვს, ასუსტებენ მხოლოდ ჩვენს პოზიციას მწარმოებლებთან მოლაპარაკების დროს.**

ინგლისის პროფკავშირების წევრებს არ უყვართ სულელური კამათი, მაგრამ თუ მათ წინააღმდეგ დაწყებული იქნება შეტევა, ისინი სათანადო პასუხს გასცემენ ამაზე.

ინგლისელი მამლაყინწა

ლონდონი. 16 სექტ. ინგლისის პარლამენტის წევრმა, მუშათა პარტიის ერთერთმა ლიდერმა უოლხედმა დენდში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან აღნიშნა, რომ, სარწმუნო ცნობებით, ლოიდ-ჯორჯის აზრი ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ გამოხატავს ლიბერალური პარტიის ნამდვილ პოზიციას.

— ეს თუ ასეა,—სთქვა უოლხედმა—მით უფრო უარესი ლიბერალური პარტიისათვის. **თუ ლოიდ-ჯორჯს უნდა ებრძოლოს მუშათა მთავრობას, რომელიც სცდილობს დაუწყნაროს ევროპა საბჭოთა მთავრობასთან ხელშეკრულების დადების გზით, მაშინ მის და მისი პარტიის წინააღმდეგ ჩვენ დავიწყებთ გენერალურ ბრძოლას.** ჯერ კიდევ არ ვიცით, გამარჯვება ვის მხარეზე იქნება.

ლონდონი. 16 სექტ. ლორდ მაშანმა, ლიბერალების ლიდერმა ლორდთა პალატაში, პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ თუმცალა ის მხარს უჭერს ხელშეკრულებას რუსეთთან, მაგრამ მან სავსებით საფუძვლიანად მიაჩნია კრიტიკული დამოკიდებულება ამ ხელშეკრულებისადმი. შეკითხვაზე, რომელს მისცემს ის ხმას—ხელშეკრულების დამტკიცებას თუ უარყოფას, მან განაცხადა, რომ ამაზე პასუხის გაცემა მას შეუძლია იმის შემდეგ, როდესაც გაიგებს, თუ რას იტყვის ამის შესახებ მაკდონალდი.

დასასრულ მან განაცხადა, რომ ის არ იფიქრობს, რომ მისი შეხედულება ხელშეკრულების შესახებ განსხვავდებოდეს ლოიდ-ჯორჯის შეხედულებისაგან.

ლოიდ ჯორჯმა, რომელსაც საუბარი ჰქონდა ჟურნალისტებთან, განაცხადა რომ ასკვიტმა, როგორც ლიბერალური პარტიის ლიდერმა, სავსებით მოიწონა პარტიის პოზიცია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მიმართ.

კამპანია

ლონდონი. 16 ინგლისის პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს კამპანია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების გარშემო. როგორც იტყობინებიან, ასკვიტს განზრახული აქვს მხარი დაუჭიროს ლოიდ ჯორჯის გამოსვლას ხელშეკრულების წინააღმდეგ.

ლოიდ-ჯორჯის ოინბაზობა

ლონდონი 16 სექტ. გლაზგოში გამოვიდა ინგლისის ჯანმრთელობის მინისტრი უიტლი, რომელმაც განაცხადა:

საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემას შედეგად მოჰყვება ინგლისში უმუშევრობის შემცირება. ჩემის აზრით, საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემა კარგი საქმე იქნებოდა იმ შემთხვევაშიაც კი, თუ სესხი არასოდეს არ იქნებოდა ანაზღაურებული.

მაკდონალდმა საბჭოთა კავშირთან შეთანხმებით, როგორც სჩანს, კონფლიქტი ჩამოაგდო ლოიდ-ჯორჯთან. **ლოიდ-ჯორჯი ემუქრებოდა მუშათა მთავრობას ძალაუფლების წართმევით, მაგრამ მისი მუქარა საშიში არ არის.**

უიტლის პასუხად, ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა:

„არ შეიძლებოდა ამოგვერჩია ხელშეკრულების უკეთესი დამცველი, ვიდრე უიტლი. როდესაც ის აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირისათვის მიცემული ფული შეიძლება სრულიად დაიკარგოს, მან კარგად აქვს შეგნებული საქმის ნამდვილი ვითარება. მაგრამ როდესაც უიტლი ამბობს, რომ სესხი სარგებელს მოუტანს მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, მაშინ ის ამტკიცებს, რომ ის ან არ იცნობს საბჭოთა დელეგაციის განცხადებას ამის გამო ლონდონში, ან შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

რაც შეეხება განცხადებას იმის შესახებ, რომ ლიბერალები არ იცავენ ჩემს თვალსაზრისს, მე უფლება მაქვს განვაცხადო, რომ ასკვიტი სავსებით იწონებს ჩემს ნაბიჯებს, რომელიც გადავსდგი პარლამენტში ჩემს კოლეგებთან თათბირის შემდეგ.

კომპარტია ვერ მოატყუეს

ლონდონი. 16 სექტემ. ინგლისის კომპარტიას მოუნდომეს მოტყუება.

14 სექტემბერს დაიწყო კომპარტიაში ახალ წევრების მიღების კვირეული, რომელიც უნდა დასრულებულიყო 20 სექტემბერს.

12 სექტემბერს ღამით კომპარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა კომპარტიის მდივანი ინკპინი: „გააუქმეთ განკარგულება წევრების მიღების კვირეულის შესახებ. დაუყოვნებლივ მოწვეული იქნება სპეციალური კონფერენცია. წერილი მოგივათ"... 13 სექტემბერს დილით ყველა ორგანიზაციებმა მიიღეს ცირკულიარული წერილი დაწერილი კომპარტიის ყალბ ბლანკზე და აღმასკომის ყალბი ბეჭდით. წერილში ნათქვამი იყო: „ვადასტურებთ დეპეშას წევრთა მიღების კვირეულის გაუქმების შესახებ. ზოგიერთ მნიშვნელოვან ამბების გამო, აღმასკომმა გადასწყვიტა შეეკითხოს ოლქებს. დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ საიმედო დელეგატები საგანგებო კრებაზე ლონდონში 14 სექტემბერს. წინადადება მიეცით საოლქო და ადგილობრივ ორგანიზატორებს ჩაიდენ ლონდონში. არაჩვეულებრივი გარემოებათა გამო, აღმასკომი კისრულობს ხარჯების 75 პროც.

სიყალბე გამორკვეული იყო შაბათს საღამოს. ლონდონიდან გაგზავნილი იქნა დეპეშები ადგილებზე, რომელთაც ეძლეოდათ გაფრთხილება არ გაგზავნონ დელეგატები. კომპარტია შეუდგა საქმის გამოძიებას.

კომპარტიაში წევრთა მიღების კვირეულის ჩაშლის ცდა უნაყოფოთ დამთავრდა, კვირეული გრძელდება. მთელს ინგლისში იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები.

უნგრეთის პოზიცია

ვენა, 16 სექტემბერი. უნგრეთის ლიბერალების ორგანო „როგგოლ" ამზადებს უნგრეთის საზოგადოებრივ აზრს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებისათვის. გაზეთი აცხადებს, რომ ჟენევაში, ერთა ლიგის შემადგენლობაში შემავალ ყველა სახელმწიფოების მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

გაზეთის აზრით, უნგრეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა სულ ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

უკანასკნელი ცნობები

მობეზრდათ სიცრუე

პარიზი, 17 ენკ. წინაალმდეგ წინეთ გამოქვეყნებული ცნობებისა იტყობინებიან, რომ კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები საქართველოში ყველგან ჩაქრობილია.

ევაკუაცია დაიწყო

ბერლინი, 17 ენკ. გუშინ საფრანგეთის ჯარმა სავსებით დასტოვა შვერგუზენი (რურის ოლქში).

საჰაერო ფლოტის წარმოებათა აქციონერი

ბერლინი, 17 ენკ. ამერიკის პრეზიდენტი კულიჯი წინააღმდეგია საზღვაო ფლოტის გადიდებისა. სამაგიეროდ პრეზიდენტი წინადადებას ძლევა გადიდებულ იქნას საჰაერო ფლოტი.

ჩვენ და იაპონია

ვლადივოსტოკი. 16 სექტემბერი. კამჩატკიდან მიღებულ ცნობის თანახმად, კამჩატკის საგუბერნიო რევკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლარინმა გაუგზავნა იაპონიის ფლოტილიის კომანდირს შემდეგი დეპეშა:

„13 აგვისტოს პეტროპავლოვის მაზრის სოფ. კრუტოგოლოვიდან 4 ვერსის მანძილზე მეთევზეთა მეთვალყურემ დააპატიმრა იაპონიის კატერი. 14 აგვისტოს მოვიდა იაპონიის ნაღმოსანი გემი, რომელმაც დაუკითხავად გადმოსხა რუსეთის ტერიტორიაზე 40 კაცი, რომლებმაც წაართვეს რუს-მეთევზეებს კატერი და დაემუქრენ ხელისუფლებას. ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ იაპონიის ნაღმოსან გემის აღმაშფოთებელ მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც უხეშოდ დაარღვია რესპუბლიკის სუვერენული უფლებები. მოვითხოვ კატერის დაუყოვნებლივ დაბრუნებას და დამნაშავეთა დასჯას“.

პოლონეთს ეშინია

ვარშავა. 16 სექტ. პოლონეთის პრესამ ასტეხა განგაში იმ საშიშროების გამო, რომელიც პოლონეთს მოელის გერმანიის მხრივ.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ გერმანიამ გადასწყვიტა ხელახლა დააყენის ერთა ლიგაში საკითხი დანციგის და ზემო-სილეზიის შესახებ და თავისი შესვლა ერთა ლიგის შემადგენლობაში მან დაუკავშირა **ამ** საკითხების გადაჭრას.

გაზეთი „ნაშ პშეგლონდი“ იუწყება, რომ ჟენევაში ჩამოსულმა გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა ბრეიტშეიდმა მოახერხა იქ მყოფი პოლონეთის დელეგაციის იზოლიაცია და მიიღო აღთქმა დახმარების გაწევის შესახებ ინგლისის მუშათა მთავრობისა და ჟენევის სხვა „სოციალისტურ“ წრეებისაგან.

პოლონეთის პრესა ფიქრობს, რომ მაკდონალდი განზრახ შეეხო ზემო-სილეზიის საკითხს, რათა გაეგებინებია, რომ ამ საკითხში ინგლისის მთავრობა გერმანიის მხარეზე იქნება. პოლონეთის მემარჯვენე პრესა მოითხოვს სეიმის სასწრაფოდ მოწვევას.

„გაზეტა ვარშავსკა“ სწერს: „**საჭიროა აშკარად ვსთქვათ, რომ პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა სერიოზულია.** პოლონეთი იმყოფება **უდიდეს საშიშროების წინაშე, იმის გამო, რომ აშკარა გარდატეხა მოხდა ევროპის პოლიტიკაში გერმანიის სასარგებლოთ.** ევროპა სცდილობს დღეს გერმანიის აღდგენას, მისთვის ტერიტორიის იმ ნაწილის დაბრუნებას, რომელიც ხელშეკრულებით იქნა ჩამოგლეჯილი; პირველ რიგში ზემო-სილეზიის და დანციგის დერეფანის დაბრუნებას. გერმანიის საკითხში გაიმარჯვა ინგლისის თვალსაზრისმა. **ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა საფრანგეთი ვერსალის ხელშეკრულების გადაუსინჯავად დაცვას.**

კომპარტიის ორგანიზაციის დაპატიმრება.

ვარშავა. 16 სექტემბერი. პოლონეთის პოლიციამ მიაგნო კომპარტიის მოკოტოვის ორგანიზაციის კვალს. **დაპატიმრებულია 150 კაცზე მეტი — აქედან უმრავლესობა ტრამვაის მუშები და რკინისგზელებია.**

პოლონეთის სესხის ჩაშლა საფრანგეთში.

ვარშავა. 16 სექტ. **პოლონეთის მთავრობის ოფიციოზურ ცნობაში ნათქვამია, რომ პოლონეთისათვის საფრანგეთის მიერ გრძელვადიან სესხის მიცემის საკითხი „შეფერხდა“.**

საფრანგეთის კომპარტიაში

პარიზი. 16 სექტ. საფრანგეთის კომპარტია ენკენისთვის მეორე ნახევარში ჩაატარებს სააგიტაციო კამპანიას, რომლის მიზანია ახალი წევრების მიღება პარტიაში. შემუშავებულია პარტიაში ახალი წევრების მიღების დაწვრილებითი გეგმა. მიღებულია სათანადო ზომები მრავალრიცხოვან კრებების და კონფერენციების მოსაწყობათ.

პარიზი. 16 სექტ. სენის ოლქში მომხდარ მუნიციპალურ არჩევნებში მთლიანათ გაიდა კომუნისტების სია. რადიკალები და რესპუბლიკანური კავშირი დამარცხდენ.

მდგომარეობა გერმანიაში

ნაუენი. 17 სექტ. გერმანიის კაბინეტის სხდომაზე ორშაბათს საბოლოოდ უნდა გამოითქვას აზრი ომის გამოწვევისათვის გერმანიის დანაშაულობის და მისი ერთა ლიგაში შესვლის შესახებ.

წონასწორმა აზრთა გაცვლა-გამოცვლამ დაამტკიცა, რომ კაბინეტის წევრებს შორის სრული თანხმობა სუფევს. კანცლერ მარქსთან ახლო მდგომი გაზეთი „გერმანია“, აღნიშნავს რა კაბინეტის ერთსულოვნებას, ამბობს, რომ საერთაშორისო მდგომარეობის სირთულის გამო, დანაშაულობის შესახებ ნოტის გამოქვეყნება ჯერ-ჯერობით ნაადრევად უნდა ჩაითვალოს.

ნაუენი. 17 სექტ. ოფიციალურ **ცნობების თანახმად, რეიხსტაგი მოწვეული იქნება არა უადრეს 15 ოქტომბრისა.** ფიქრობენ, რომ ომის გამოწვევისათვის გერმანიის დანაშაულობის და ერთა ლიგაში შესვლის საკითხები გადაჭრილი იქნება მას შემდეგ, რაც რეიხსტაგი გამოსთქვამს თავის აზრს ამ საკითხების შესახებ.

ევაკუაცია

ჰანოვერი. 17 სექტ. რურორტის და ობერჰაუზენის ევაკუაცია უნდა დაწყებულიყო სამშაბათიდან.

ორშაბათს ობერჰაუზენში რამოდენიმე მთვრალმა ფრანგის ჯარისკაცებმა ასტეხეს აყალ-მაყალი, რასაც შედეგად მოჰყვა ბევრ კაფეებში ფანჯრების შუშების ჩამტვრევა. დაზარალდა რამოდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე. გერმანიის პოლიციამ დააპატიმრა მთვრალი ჯარის კაცები და გადასცა საფრანგეთის ხელისუფლებას.

დაპყრობილ რაიონში

ჰანოვერი. 16 სექტ. დღემდის ლონდონის ხელშეკრულების ძალით საფრანგეთის ხელისუფლებამ განთავისუფლა 145 გერმანელი. განზრახულია კიდევ 100 კაცის განთავისუფლება.

სხვა და სხვა ამბები

— **ფაშისტები.** გერმანიის ფაშისტები თავს დაესხენ რესპუბლიკანელებს, რომელთაც ტანსაცმელი დაუგლიჯეს. შეტაკება დამთავრდა ხელჩართული ბრძოლით.

— **გაფიცვა.** ავსტრიის გაფიცულ მელითონეთა რიცხვი უდრის 150 ათას კაცს.

— **რადიჩის პარტიაში.** სამხრეთ-სლავიის გლეხთა პარტიის (რადიჩის ჯგუფი) საპარლამენტო ფრაქციამ დაადასტურა თავისი წარმომადგენლის შესვლა მთავრობის შემადგენლობაში.

— **ვენის ბაზრობა.** დაიხურა ვენის (ავსტრიაში) შემოდგომის ბაზრობა. ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ბაზრობაზე დასტოვა საბჭოთა კავშირის პავილიონმა.

— **ცანკოვის ტერორი.** ამ ბოლო დროს ბულგარეთის რეაქციონერის ცანკოვის ტერორმა მაკედონელ რევოლიუციონერების წინააღმდეგ საშინელი ხასიათი მიიღო. დღე არ არის ისეთი, რომ ვინმე საზოგადო მოღვაწე არ მოჰკლან. გუშინ მოჰკლეს მაკედონელი ვასილიევი და ათანასოვი.

— **„განიარაღება“.** პოლონეთში ჩავიდა საფრანგეთის სამხედრო კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს პოლონეთის ჯარების გადაჯგუფებას.

— **ეგვიპტეში.** მთელი ეგვიპტის პრესა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს იტალიის პრეტენზიებით. ფაში-იტალია ეგვიპტის მიმართ მუშაობს ინგლისთან ხელიხელ ჩაკიდებული.

— **მამლაყინწა.** მუსოლინიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „ფაშისტები არავის მისცემენ ნებას, რომ შეურაცხყონ სამშობლოვო“.

— **უხარიათ.** პოლონეთის გაზეთები ძლიერ კმაყოფილნი არიან ერთა ლიგით, რომელმაც ლიტვის მაგიერ ვილენის საკითხში პოლონეთის სასარგებლოთ გადასწყვიტა.

— **მაროკოში.** აჯანყებულების გამარჯვების შემდეგ ისპანელებმა დასტოვეს ხერუდის, სეიდუმის და რომარაის მიდამოები. ამნაირად ამჟამად მათ უკავიათ ზღვის ნაპირის მცირე ნაწილი.

— **მენშევიკების ჭორები.** მენშევიკები ეხლა ნაუენიდანაც იტყობინებიან, რომ აჯანყებულება კავკასიაში ააფეთქეს გვირაბი თბილის-ბაქოს შორის.

— **წყალდიდობა ინდოეთში.** უკანასკნელმა წყალდიდობამ ინდოეთში წაიღო 20 სოფელი.

— **თემთა პალატაში.** ინგლისის თემთა პალატას (პარლამენტი) სესია გაიხსნება 30 ენკენისთვეს.

— **მოსულის საკითხი.** ოსმალეთის მთავრობამ ერთა ლიგას გადასცა მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ მოსულში (ნავთის ადგილია) უსათუოდ ოსმალეთის სუვერენიტეტი უნდა დარჩეს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საფრანგეთი.

მუშათა სოლიდარობა.

პარიზი. 16 სექტ. საფრანგეთის ჩრდილოეთ დეპარტამენტის სამთომადნო მუშათა უნიტარულ კავშირების კონფერენციამ მიმართა ინგლისის სამთომადნო მუშათა ფედერაციას, ტრედიუნიონების სამდივნოს და სამთომადნო მუშათა ცენტრალურ სამდივნოს ბორინაჟში; **მიმართვაში კონფერენცია მოუწოდებს მათ მოაწყონ ბორინაჟის სამთომადნო მუშებისათვის საერთაშორისო დახმარება.**

სამხრეთ-სლავია

მიტინგი ზაგრებში.

ვენა, 16 სექტ. რადიჩის პარტიის მასიურ მიტინგზე ზაგრებში, რომელსაც 20,000 კაცი დაესწრო, რადიჩმა განაცხადა, რომ **საბჭოთა კავშირი ილტვის საყოველთაო მშვიდობიანობისაკენ,** მაგრამ ამ ლტოლვაში იგი მიმართავს სულ სხვაგვარ საშუალებებს, ვიდრე ერთა ლიგა.

მიტინგი დამთავრდა ერთსულოვანი ძახილით: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს“.

გერმანია.

გერმანიის ახალგ.-კომკავშირის აქტივობა.

მოსკოვი. 17 სექტ. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე აღნიშნული იქნა, რომ **უკანასკნელ ხანებში ძალიან იმატა გერმანიის ახალგ. კომკავშირის აქტივობამ. საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე წარმატებით ჩატარდა მთელ გერმანიაში. მიუხედავად დევნისა, ყველა დიდ ცენტრებში გამართული იქნა მუშათა ახალგაზრდობის მრავალრიცხოვანი მიტინგები.**

მონღოლეთი

მონღოლეთის ახალგ. კომკავშირის ყრილობა.

ურგა, 16 სექ. გაიხსნა **მონღოლეთის ახალგაზრდობის კავშირის მესამე ყრილობა.** კომინტერნის რწმუნებულმა ამხ. სტარკოვმა ყრილობას დროშა გადასცა.

ფიმენი მოსკოვში

მოსკოვი. 17 სექტ. გუშინ ედდო ფიმენი ეწვია ტრანსპორტის მუშების კავშირის ცეკას, სადაც სიტყვა წარმოსთქვა ტრანსპორტის მუშების მდგომარეობის შესახებ უცხოეთში და შეეხო აგრეთვე ამსტერდამის მომხრე ტრანსპორტელების საერთაშორისო გაერთიანების პოლიტიკას. ფიმენმა გაუზიარა დამსწრეებს თავისი შთაბეჭდილებები, რომელიც მიუღია მას საბჭოთა კავშირში.

დასავლეთ ევროპის მუშების 80—90 პროცენტს,—სთქვა ფიმენმა,—უნდა შეშურდეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ცხოვრება. მართალია, საბჭოთა კავშირის მუშების მატერიალური მდგომარეობა ჩამორჩება დასავლეთ ევროპის მუშების მატერიალურ მდგომარეობას, მაგრამ ეს დროებითია. უეჭველია, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირის მატერიალური მდგომარეობა ავა სათანადო სიმაღლეზე. **სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის მუშები მთელს მსოფლიოში არიან პირველები, რომლებიც თავისი ძალებით და თავისი შეგნებით აშენებენ თავიანთ სახელმწიფოს. თუმცაღა ბურჟუაზიული პრესა სწერს, რომ საბჭოთა კავშირში არსებობს დიქტატურა პროლეტარიატზედ, მაგრამ მაინც ჩვენ ვუსურვებდით მთელი მსოფლიოს მუშებს უახლოეს მომავალში განეხორციელებიოთ თქვენებური პროლეტარული დიქტატურა.**

მოსკოვის საავტომობილო კლუბის წარმომადგენლებმა ფიმენი აირჩიეს კლუბის წევრად.

ბერლინი. 16 სექტემბერი. „ფორვერტს“-ი, ემყარება რა ფიმენის განცხადებაზე ტრანსპორტელების ჰამბურგის კონგრესზე, ამტკიცებს, რომ ფიმენი გაემგზავრა მოსკოვში პირადი ინიციატივით და მას არავითარი უფლება არა აქვს აწარმოვოს მოლაპარაკება რუსეთის პროფკავშირებთან, რომლებიც ცდილობენ პროფესიონალური მოძრაობის გათიშვას. გაზეთი სწერს, რომ თუ დამტკიცდა ფიმენის ღალატი ჰამბურგის კონგრესის დადგენილებებისადმი, მისი როლი ამსტერდამის ინტერნაციონალში დამთავრებული იქნება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

საბჭოთა კავშირის ფინსახკომის განცხადება.

მოსკოვი 17 სექტ. საბჭოთა კავშირის ფინსახკომი განმარტავს, რომ ის მიწები, რომლებიც ეკუთვნის ქარხნებს და რომლებსაც იყენებენ ამ ქარხნების მუშა-მოსამსახურეები სამომხმარებლო ბოსტნებად, განთავისუფლებული უნდა იქნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

საბჭოთა დროშა ვრანგელის კუნძულზე.

ვლადივოსტოკი. 17 სექტ. **საბჭოთა გემი „წითელი ოქტომბერი“ მივიდა ვრანგელის კუნძულზე და აღმართა იქ საბჭოთა დროშა.** ნავთსადგურ „სამნიტელნაიაში“ იმყოფებოდენ ერთი ამერიკელი და 11 ესკიმოსი. სამი დღის შემდეგ „წითელი ოქტომბერი“ გაემგზავრა უკანვე.

უკრაინა.

„მოსავლის დღე“

ხარკოვი. 17 სექტ. უკრაინის ყველა სოფლებში სწარმოებს მზადება „მოსავლის დღის“ დღესასწაულისათვის.

დღესასწაულის იდეა დიდი პოპულიარობით სარგებლობს გლეხებს შორის. ზოგიერთ სოფლებში „მოსავალის დღე“ უკვე იდღესასწაულეს.

პურის ფასების დაცემა.

ხარკოვი 17 სექტ. **სექტემბრის განმავლობაში უკრაინაში შეუჩერებლად ეცემა ფასები პურზე.** საშუალო ფასი ჭვავზე უდრის 72 კაპეიკს, ხორბალზე 1 მან. 40 კაპეიკს—ფუთი.

ეს ფასები მაინც მაღალია. ამ ფასების კიდევ დაწევის მიზნით შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი გაატარებს „ფქვილის ინტერვენციას“. პირველ ყოვლისა განზრახულია ფქვილის ფასების დაწევა ხარკოვში, კიევში, ოდესაში, ეკატერინოსლავში, არტემოვსკში, ლუგანსკში და სტალინოში. ყველა ამ ადგილებში ბაზარი სავსებით უზრუნველყოფილია სახელმწიფო და კოოპერატიული ფქვილით.

ნიჟეგოროდის ბაზრობის დახურვა

ნიჟნი-ნოვგოროდი. 17 სექტემბ. 15 სექტემბერს მოხდა ნიჟეგოროდის ბაზრობის ოფიციალური დახურვა.

ბაზრობაზე ყოფილა დახლოვებით 16,000 დაინტერესებული პირი. მოხდა 4000-დე გარიგება. საქონელი გაიყიდა 65,000,000 მანეთის ღირებულების. ბაზრობაში მონაწილეობა მიიღო 400 პირველი საფეხურის კოოპერატივმა, თუ არ ვიანგარიშებთ სახელმწიფო ორგანოებს და კერძო სავაჭრო ფირმებს. ნიჟეგოროდის საბაზრო ბირჟის საერთო კრებამ გაუგზავნა შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. კამენევს შემდეგი დეპეშა.

„ნიჟეგოროდის საბაზრო ბირჟის საერთო კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება საბირჟო კომიტეტისა ბაზრობის საქონლის ბრუნვის შესახებ, ფიქრობს, რომ ბაზრობამ საკმაოდ შეასრულა მთავრობის მიერ მისთვის დაკისრებული ამოცანები. თქვენმა მზრუნველობამ ბაზრობისადმი ნაყოფიერი გავლენა იქონია ყველა მისს მონაწილეებზე. სახელმწიფო ორგანოები, კოოპერაცია, კერძო ვაჭრობა და აღმოსავლეთის ვაჭრები მოვალეთ სთვლიან თავის თავს გამოგიცხადონ თქვენ ულრმესი მადლობა და ღრმა რწმენას გამოსთქვამენ, რომ კეთილსასურველი იქნება თქვენი დამოკიდებულება მომავალ ბაზრობებისადმი. ბაზრობის საქონლის ბირჟის უკანასკნელი საერთო კრება ჯამს უკეთებს მიღებულ რეზოლიუციაში ბაზრობის მუშაობას და აღნიშნავს, რომ 1924 წლის ბაზრობამ, მიუხედავად ძლიერ გავრცელებულ საქონლის რაოდენობის სიმცირისა, მაინც დიდი მნიშვნელობა იქონია საბჭოთა კავშირის საქონლის ბრუნვის გაფართოებაზე და მოწესრიგებაზე, სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის კავშირზე და აღმოსავლეთის ქვეყნებთან მეგობრულ სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებაზე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

„რემედასს“-ის საზეიმო სხდომა.

ბათომი. 17 სექტემბერი. 15 სექტემბერს შესდგა „რემედასს“-ის აჭარისტანის ორგანიზაციის საზეიმო სხდომა პროფორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომელზედაც „რემედასს“-ის ცეკას და იტალიის კომპარტიის წევრმა ამხ. ჯერმანეტტომ იტალიურ ენაზე გააკეთა მოხსენება „რემედასს“-ის საერთაშორისო მდგომარეობის და მისი ამოცანების შესახებ.

მოისმინა რა მოხსენების თარგმანი, ამხ. გასან-ალიომერი აჭარისტანის მშრომელების სახელით ფრანგულ ენაზე ესალმება მომხსენებელს და სთხოვს მას გადასცეს „რემედასს“-ის ცეკას, რომ აჭარისტანის მუშები მზად არიან აღმოუჩინონ მსოფლიო რევოლიუციისათვის მებრძოლებს არა მარტო მატერიალური, არამედ აგრეთვე შეიარაღებული დახმარება.

ბერძენი მეზღვარები უცხოეთის გემებიდან მიესალმენ კრებას ბერძნულ ენაზე.

პრეზიდიუმის წინადადებით, ამხ. ჯერმანეტტო ერთხმად იქნა არჩეული აჭარისტანის ორგანიზაციის საპატიო წევრად.

აზერბეიჯანი.

მუშათა კრედიტი.

ბაქო, 17 სექტემბერი. ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირთან შემდგარმა თათბირმა, რომელიც იხილავდა მუშათა კრედიტის საკითხს, მიიღო გეგმა, რომლის ძალით კრედიტის გასტუმრების ვადა საშუალოთ განსაზღვრულია 6 თვით, კრედიტის რაოდენობა—50 მანეთით.

„ზაკსოიუზს“ განზრახვა აქვს კრედიტი მისცეს 104.150 კაცს.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კოოპერაციას უფლება მიეცეს მუშებისათვის კრედიტის მიცემის დროს შემოიღოს განსაკუთრებული საკრედიტო მარკები, რომლებიც მიღებული იქნება წარმოებებთან გახსნილ განმანაწილებელ პუნქტებში და სამხედრო ნაწილების დუქნებში.

საბჭოთა აჭარისტანში

— **საექიმო ხელსაწყობი.** ჯანმრთელობის კომისარიატმა ხულოს საავადმყოფოს გაუგზავნა საექიმო ხელსაწყობები.

— **საბეითლო სამმართველოში.** ხულოს მაზრის აღმასკომმა განკარგულება გასცა თემების აღმასკომებზე, რათა მაზრაში არ დაიკლას საქონელი საბეითლო ექიმის შეუმოწმებლად.

— **მავნე ელემენტების გაძევება.** დაარსდა კომისია, რომელსაც დაევალა ხუჭაურის თემიდან მავნე ელემენტების გაძევება.

— **კბილის საექიმო ამბულატორია.** აღიძრა შუამდგომლობა, რათა დოლოგანის თემში გახსნილ იქნას კბილის საექიმო ამბულატორია.

— **აბანოს გახსნა.** სოფ. ხონაში აგებულ იქნა აბანო ადგილობრივ და მახლობელ მცხოვრებთათვის.

— **გზის გაყვანა.** სიჯაურის თემში (ხულოს მაზრა) კეთდება ჯვანის გზა, სადაც მუშაობა სწარმოებს კლდეების ასაფეთქებლად.

— **სიმინდის შეძენა** აჭარის წყლის გლეხკომმა შეიძინა სიმინდის დიდი პარტია სარეალიზაციოთ.

— **სესხი გლეხკომს.** ქედის მაზრის გლეხკომს გაეხსნა სესხი საგლეხო ფართლეულობის შესაძენად.

— **ნავთის გაგზავნა.** აღიძრა შუამდგომლობა, რათა ხულოს მაზრის აღმასკომს გადაეგზავნოს ნავთი გლეხობაზე დასარაგებლად.

— **საბეითლო პუნქტი.** აღიძრა შუამდგომლობა სოფ. თოფალ ოღლში საბეითლო პუნქტის გახსნის შესახებ.

— **სკოლის შენობის აგება.** სოფ. ვეჰიოში განზრახულია სკოლის შენობის აგება, უკვე შემდგარია საამშენებლო კომისია.

სწავლა-განათლების საქმე აჭარისტანში

სამოსწავლო წლისათვის სამზადისი მუშაობა უკვე დასრულდა, შემუშავებულია პროგრამა, რომელიც უკვე იბეჭდება. გამოცდები და მოსწავლეთა მიღება გაგრძელდება 20 სექტემბრამდე, ხოლო 1 ოქტომბერს როგორც ქალაქში, ისე მაზრებში დაიწყება ნორმალური მეცადინეობა.

სამოსწავლო ნივთები.

ქართული და თურქული სახელმძღვანელოები 1 ნაწ. უკვე იბეჭდება. მე 2 ნაწ. და აჭარისტანის გეოგრაფიის და ისტორიის დამუშავება სპეციალურ კომისიაში სრულდება და მოკლე ხანში გადაეცემა სტამბას დასაბეჭდათ.

სედად-რეშატის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო, რომლითაც წასულ წელში მეცადინეობდენ, როგორც უვარგისი, უარყოფილია განსახკომის მიერ და სახმარებლად აკრძალულია.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ მაზრებში სკოლები სახელმძღვანელოებით და სხვა სამოსწავლო ნივთებით მომავალ სამოსწავლო წელში სრულიად უზრუნველყოფილი არიან.

რაც შეეხება ქალაქის შკოლებს, მათი დაკმაყოფილება მოხდება საქართველოს სახელგამის საშვალებით, რომელსაც უკვე შეუთანხმდა აჭარისტანის განსახკომი. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა პოლიტგანის წიგნის მაღაზია „კომუნისტში“ გახსნისათვის განყოფილებას.

40 ახალი სკოლა.

განათლების სახკომატი უმთავრეს და სერიოზულ ყურადღებას აქცევს მაზრებში სასკოლო ქსელის გაფართოებას. ახალი სკოლების მოთხოვნილება დიდია. აჭარისტანში არ არის ისეთი სოფელი, ისეთი კუთხე, სადაც ხალხი მასიურათ არ მოითხოვდეს ახალ სკოლების გახსნას. განსახკომი დიდ ანგარიშს უწევს ხალხში განათლების გავრცელების სურვილს და მომავალ სამოსწავლო წელში აჭარისტანის სხვადასხვა კუთხეში ხსნის 40 ახალ სკოლას რის შესახებ უკვე არის სახკომსაბჭოს პლენუმის დადგენილება.

სამეურნეო სკოლები.

მომავალ სამოსწავლო წელში განსახკომატი ხსნის ორ სამეურნეო სკოლას (ორწლედს). პირველი გაიხსნება ქობულეთის მაზრაში, ს. ხუცუბანში და მეორე—ჭოროხის მაზრაში ს. ახალშენში. ორივე ადგილზე—სკოლებისათვის მომზადებულია სათანადო ბინები.

აგრონომიული ინსტიტუტი.

განსახკომატი მომავალ სამოსწავლო წელში დგამს ნაბიჯს აგრონომიული ინსტიტუტის გასახსნელათ. ამ მიზნით ინდუსტრიალურ ტეხნიკუმთან მოეწყობა აგრონომიული განყოფილება, რომელსაც მომავალ სამოსწავლო წელში ექნება მხოლოდ პირველი კლასი. ერთი წლის შემდეგ ეს აგრონომიული განყ. გადაიქცევა აგრონომიულ ინსტიტუტად.

150 აჭარლის მომზადება.

პედაგოგიურ ინსტიტუტთან გასულ წელს იყო 54 ადგილიანი ინტერნატი. ყველა იქ მცხოვრებნი ახალგაზრდა აჭარლები პედაგოგიურ ინსტიტუტში მეცადინეობდენ. ამ წელში ინსტიტუტი გადიდებული იქნება 150 კაცამდე. ახლად მიღებული მოწაფენი დანაწილებული იქნებიან ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის აგრონომ. განყ. და სპეცკლასში, რომელიც დაარსდება ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში და მოამზადებს აჭარლებს ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში შესასვლელათ.

შრომის საცდელი სკოლა.

პედაგოგიურ ინსტიტუტთან მოეწყობა შრომის საცდელი სკოლა; აქ მომავალი პედაგოგები მიიღებენ პრაქტიკას. ეს სკოლა მომავალში 7 წლედად გადაიქცევა.

საერთოდ მიმდინარე ზაფხულში განსახკომატმა დიდი მუშაობა ჩაატარა მომავალ სამოსწავლო წლისათვის მოსამზადებლათ, მიიღო რა მხედველობაში და შეეცადა გაასწოროს ყველა ის დეფექტები, რომელნიც განსახკომატის წარსულ მუშაობაში აღნიშნა მუშგლეხინის გამოკვლევამ. განსახკომი იმედოვნებს, რომ გაისად განათლების საქმე კიდევ უკეთ იქნება ვიდრე ამ ჟამად არის. განსაკუთრებით ეს დაეტყობა აჭარისტანის სოფელს.

არც ერთ დარგს საბჭოთა აღმშენებლობაში ისეთი ყურადღება არ ექცევა, როგორც სახალხო განათლებას. ამიერ კავკასიის ცაკის სესიაზე ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა ამხ. გუსეინოვმა განაცხადა, რომ გასულ წელს 10 თვეში საქართველოს რესპუბლიკამ განათლების საქმეზე დახარჯა მთელი ხარჯთ-აღრიცხვის 572 პროცენტი, ადერბეიჯანმა — 52,8 პროც. და სომხეთმა—46,1 პროც. ეს ციფრები პირდაპირ უმაგალითოა ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში, სადაც გასაბჭოებამდე სახალხო განათლების საქმე უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

ასეთივე მდგომარეობაა აჭარისტანშიც. საბჭოთა ხელისუფლება როგორც ყველგან, აქაც პირველ ადგილზე აყენებს განათლების საქმეს. გასულ წლის მე-2 ნახევარში აჭარისტანის ხარჯთ აღრიცხვის 35,2 პროც. სახალხო განათლების საქმეზე დაიხარჯა.

ამას წინეთ გაზეთში გამოქვეყნებული იყო მუშგლეხინის მასალებით განათლების საქმის გამოკვლევის შესახებ აჭარისტანში. გამოკვლევაში აღნიშნული იყო მთელი რიგი დეფექტებისა. მუშგლეხინის მითითებანი განსახკომატის მიერ მიღებულია მხედველობაში და მომავალ სამოსწავლო წელში ყველა გამოსწორებული იქნება.

უნდა აღინიშნოს ამჟამად პედაგოგიურ ინსტიტუტთან სანიმუშო შრომის სკოლის დაარსება, პედაგოგიურ ინსტიტუტის ინტერნატის გაფართოება, ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში აჭარელ ახალგაზრდობის შეყვანა, აგრონომიულ ინსტიტუტის და სკოლების გახსნა და სხვა მრავალი. ამასვე ეკუთვნის სახალხო მასწავლებელთა კადრის გამზადება, რომელმაც აუცილებლათ მოუტანა სარგებლობა ჩვენ სახალხო მასწავლებლებს.

ბათომის ქალაქის სკოლების რეორგანიზაცია

მომავალ სამოსწავლო წელში განათლების სახკომატი ბათომში აპირებს სკოლების რეორგანიზაციას, რომლის მიზანია ძველი სკოლების გაუქმება და მათ მაგიერ ახალი ტიპის დაარსება.

ბათომში არსებობს ჰუმანიტარული გაერთიანებული ტეხნიკუმი, რომელიც უქმდება და მის მაგიერ არსდება მე-2 საფეხურის ქართულ-რუსული სკოლა. ეს სკოლა მოთავსებული იქნება ტეხნიკუმის ბინაზე და იქნება ოთხკომპლექტიანი (2 ქართ. და 2 რუსული).

აქვე მოეწყობა ყოფ. ტეხნიკუმის მოსწავლეთა სალიკვიდაციო კლასები.

ბათომში დარჩება მხოლოდ ერთი მე-2 საფეხურის მე-2 კონცენტრი, რომლის დანიშნულება იქნება ახალგაზრდობის მომზადება უმაღლეს სასწავლებლისათვის. ამიტომ ყველა არსებულ მე 2 საფ. სკოლებთან მოხსნილი იქნება მე-2 კონცენტრი და ქართული. მე-2 საფ. და რუსული მე-2 საფეხურის სკოლები იარსებებს, როგორც შვიდწლედი, რომელთა მიზანი იქნება ახალგაზრდობის სპეციალურ ტეხნიკუმებისათვის მომზადება.

ამგვარათ მე-2 საფ. სკოლები ბათომში ასეთ სახეს მიიღებს მომავალ 1924—1925 სამოსწავლო წელში:

1. ქართულ-რუსული მე-2 საფ. სკოლა (ორივე კონცენტრით).
2. ქართული, რუსული, მუსლიმანური, სომხური და ბერძნული მე-2 საფ. სკოლა (შვიდწლედი—ერთი კონცენტრით).

ამით მიღწეულ იქნება მეორე მიზანი: ახალგაზრდობის უმრავლესობას შეძლება მიეცემა სპეცტეხნიკუმებში განათლება მიიღონ. ხოლო იმავე დროს დაცული იქნება სახალხო განათლების ახალი სისტემა (ერთგვარია საბჭოთა ყველა რესპუბლიკებში), ამ შვიდწლედზეა აგებული პროფგანათლება და პოლიტეხნიკური შრომის შკოლა.

რეორგანიზაციის შემდეგ ბათომში შკოლების ქსელი მომავალ სამოსწავლო წელში ასე გვესახება:

ქართული 1 საფ. შკოლა—2 (ორ-ორ კომპლექტ.) რუსული 1 საფ. სკოლა—2, ორ კომპლექტ. სომხ 1 საფ. სკოლა—1, ორ კომპლექტ., მუსულმანური 1 საფ. შკოლა—1, ორი კომპლექტი, ბერძნული 1 საფ. შკოლა—1, ორ კომპლექტ, ებრაელი 1 საფ. შკოლა—1 (ერთ კომპლ.) სულ 1 საფ. სკოლა—8.

ქართული მე-2 საფ. შკოლა 1 (შვიდწლედი), რუსული მე-2 საფ. შკოლა—1 (შვიდწლედი), ბერძნული მე-2 საფ. სკოლა—1 (შვიდწლედი), სომხური მე-2 საფ. შკოლა—1 (შვიდწლედი), მუსულმანური მე-2 საფ. შკოლა—1 (შვიდწლედი) ქართულ-რუსული მე-2 საფ. შკოლა—1 (ცხრა წლედი, ე. ი. ამ შკოლას ექნება 2 კონცენტრი და 14 ჯგუფი). სულ 11 საფ. შკოლა—6.

პარტიული ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს, 18 სექტემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, რ. კ. პ. ა.| ც. საოლქო კომიტეტში შესდგება

პარტიის სოფელში მუშაობის საოლქო პარტიული კომისიის სხდომა

დღის წესრიგშია შემდეგი მოხსენებები:

1) სოფლად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ, 2) გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტების შესახებ, 3) მოჯამაგირეებს შორის მუშაობის შესახებ და მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა კომისიის წევრების თავის დროზე გამოცხადება.

სოფელში მუშაობის ა-კ. საოლქო პარტ. კომისიის თავმჯდომარე: მ. ცხაკაია.

პოლიტიკა სამხატვრო ლიტერატურაში

(ამხ. ვარდინის მოხსენება)

16 სექტემბერს, პარტკლუბის შენობაში პარტიის და კომკავშირის წევრების თანდასწრებით შესდგა კრება, რომელზედაც მოხსენებით „სამხატვრო ლიტერატურა და იდეოლოგიური ფრონტის“ შესახებ გამოვიდა ეხლახან მოსკოვიდან ჩამოსული ამხ. ვარდინი-მგელაძე.

ამხ. ვარდინი ერთი მებრძოლ-აქტიურ ჯგუფის აპოლოგეტთაგანია, რომელსაც „Напостовц“-ები (ნაპოსტოველები: სახელწოდება წარმოიშვა ჟურნალ „На посту“-სგან) ჰქვია. ამიტომ იგი მთელ თავის მოხსენებაში ატარებს ამ ორგანიზაციის ხაზს. პარტიული მასები საკმაოდ იცნობენ ამ ხაზს, იგი შემუშავდა ჯგუფ „Октябрь“-ს და „На посту“-ს ირგვლივ.

მომხსენებელმა განიხილა საკითხი მხატვრულ ლიტერატურის შესახებ, როგორც იდეოლოგიური ფრონტის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი.

ჩვენ გვაქვს ოქტომბერი პოლიტიკაში, ეკონომიკაში და ეხლა უნდა დავასრულოთ იგი იდეოლოგიურ ფრონტზეც. ეხლა რუსეთში ბევრი მიმართულებებია, მაგრამ მათში ამხ. ვარდინი არჩევს სამ მთავარს 1. „თანამგზავრები“ (მათ შორის მემარცხენე „ლეფი“ „Красная Новь“-ის გარშემო შემოკრებილნი და „Круг“-ის წევრები) 2. აქტიური კონტრ-რევოლიუციონერები—ემიგრანტები (მერეჟკოვსკი, ბუნინი, გიპიუს და სხვები) და 3. პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც წარმოდგენილია ეხლახან დეგენერაციის და დეფერენციაციის გზაზე დამდგარ „კუზნიცელებით“ („Кузница“) და ეხლახან გაძლიერებულ ჯგუფ „Октябрь“-ით („ოქტომბრელები“).

უკანასკნელი პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობის სახეს ღებულობს. ამხ. ვარდინი აღნიშნავს იმ სიძნელეს, რომელიც გადაიტანეს „ოქტომბერმა“ იმ ყრილობის მოწვევაში, რომელზედაც მასიურმა მოძრაობამ პირველად ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

„ნაპოსტუს“ მთავარი მოთხოვნილება, რომ პარტიამ, რომლის ჰეგემონია უნდა ვრცელდებოდეს დღევანდელ ცხოვრების ყველა სფეროებზე, გავრცელდეს აგრეთვე ამ მოძრაობაზე, რომელსაც უნდა მიეცეს განსაზღვრული სახე და იმ მერყევ თანამგზავრულ ელემენტებს, რომლებიც ახლო სდგანან ჩვენთან, მაგრამ საერთო მხატვრულ პოლიტიკის ანარქიულობის გამო ირყევიან.

შემდეგ მომხსენებელი ეხება ამხ. ტროცკის ლიტერატურულ შეხედულებებს, მოჰყავს რა ამონაწერები ტროცკის წიგნიდან „Литература и Революция“, ამბობს, რომ ამხ. ტროცკი სცდება, როცა გვიკარნახებს, რომ „სოციალისტურ კულტურის“ შექმნამდე უნდა ვსაზრდოობდეთ არსებულ „თანამგზავრულ“ და კლასიკურ კულტურით,

მომხსენებელი აგრეთვე კრიტიკულად ეხება ვორონსკის სამხატვრო პოლიტიკას, რომელსაც იგი ატარებდა პარტიის დავალებით ჟურნალ „Красная Новь“-ში და ჯგუფ „Круг“-ში. იგი აღნიშნავს, რომ ვორონსკიმ ვერ გაატარა ცხოვრებაში პარტიის დავალებები და შექმნა იდეურად მერყევი თანამგზავრთა კადრი ჟურნალის გარშემო.

კრიტიკულად უყურებს მომხსენებელი ვორონსკის იმ შეხედულებასაც, თითქოს ხელოვნება ცხოვრების შემეცნებაა და სხვა არაფერი. მომხსენებელი ამბობს, რომ ხელოვნება (ბუხარინის თქმით) არის იარაღი ემოციონალურ ურთიერთობის და რომ იგი ყოველთვის იყო და არის მსახურის (служебн.) როლში.

ცენტრალური საკითხი მოხსენებაში პოპუტჩიკების (თანამგზავრების) საკითხი იყო.

იგი შეეხო გარდა ამისა საკითხს პერსპექტივის შესახებ, რომელსაც სრულიად არ იძლევა ამხ. ტროცკი და ვორონსკი.

დაბოლოს მომხსენებელი შეეხო მხატვრულ კრიტიკის საკითხს, რომელშიაც მარქსისტები სრულებით შეუთანხმებლათ მოქმედობენ და რომელიც სრულიად მიუღებელია ვორონსკის ჟურნალში.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა დისკუსია. გამოვიდენ: ამხ. ამხ. ტატულოვი, ქიქოძე, დუბენსკი, იგნატიევი, ეული, ზომლეთელი, ბოგდატიევი და სხვა.

მოხსენებას დაესწრო მრავალი ხალხი, პარტიული პასუხისმგებელი მუშაკები, კომკავშირელები და სხვა.

მოხსენების შემდეგ ლექსები წაიკითხა რუსეთის ცნობილმა „თანამგზავრმა“ პოეტმა ესენინმა, რომელმაც წაიკითხა მშვენიერი ლექსები და რომელსაც მსმენელები დიდის ტაშის ცემით შეეგებენ.

ჰ.

პარტიაში მოდიან

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების მიერ შემოტანილია განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. რაიკომი სთხოვს ყველა ამხანაგებს და იმ პირებს, რომელთაც აქვთ მამხილებელი საბუთები აღნიშნულ ამხანაგების წინააღმდეგ, წარმოადგინონ ასეთები ერთი კვირის ვადაში რაიკომში (კახეთის ქუჩა № 1).

1) სარქისოვი რუბენი, 2) ხანუმიანი ამოტი, 3) ჯიბლაძე მოსე, 4) მიქაელიანი კაზარ, 5) ვლადიკოვა-შენგელია, 6) მაისურაძე ივანე, 7) თოდაძე, 8) მეავანაძე რაფიელ, 9) ღარიბოვი გარაბ, 10) მნაცაკანოვი გაიკ, 11) ჯავახიშვილი აბრამი, 12) ავაქოვი ბაგრატ, 13) აკოპოვი ოგანეს, 14) ხაჩატუროვი ხაჩატურ, 15) ჩანანაძე დავით იოსებისძე, 16) ყაჩიაშვილი აპოლონი, 17) კარაპეტიანი კარაპეტ, 18) სისოევა ელისაბედი, 19) ავდიანი გაიკ, 20) გაბრიელოვ კარპე, 21) ჰიაურელი ნიკოლოზ, 22) ტიდეევი იზატინ, 23) კობახიძე გიორგი, 24) ხუბულაშვილი ივანე, 25) ახმედოვი ნუნა, 26) ბაბუაძე იოსები, 27) სტეპანოვი არტაშეს, 28) ელენტი მელიტონ, 29) ვოლდანი ნიკოლოზ.

მდივანი ვართაპეტიანი.

14 სექტემბრის დღესასწაული ქ. ზესტაფონში

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღესასწაულის ჩასატარებლათ წინასწარი კამპანია ჩაატარა ა. ლ. კ. კ. შორაპნის სარაიონო კომიტეტმა. დღესასწაული გაიმართა 14 სექტემბერს. ამ დღისათვის მორთულ იქნა ქალაქი გირლიანდებით და წითელი დროშებით. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს: წითელი არმიის ნაწილებმა, ბავშვთა კომუნისტური ჯგუფის წევრებმა (სპარტაკი), მთელი რაიონის კომუნარებმა და აუარებელმა მუშა-გლეხებმა.

დღესასწაულის აღსანიშნავათ მოწვეული საზეიმო მიტინგი გახსნა ა. ლ. კ. კ. შორაპნის რაიკომის მდივანმა ს. მენაბდემ, რომელიც მოკლეთ შეეხო დღესასწაულის მნიშვნელობას და მოუწოდა ამხანაგებს გაათკეცებულ ენერგიით შეებრძოლონ როგორც შინაურ მტრებს მენშევიკ-ავანტიურიზმის სახით, ისე საერთაშორისო მუშათა კლასის მოსისხლე მტერს—იმპერიალიზმს და იმპერიალისტურ ომის საშიშროებას, რომელიც უმოკლებს სიცოცხლეს მშრომელ ახალგაზრდობას. შემდეგ გამოდიან სარაიონო პარტიული კომიტეტის სახელით ამხ. დ. მშვენიერაძე, ლენინელთა კომუნისტური კავშირის სამაზრო კომიტეტის სახელით ამხ. ი. ცხომელიძე, წითელი საზღვაო ფლოტის სახელით—ამხ. სუხიშვილი და სხვა ამხანაგები. მიტინგის მთელი შემადგენლობა აღფრთოვანებით ხვდება ამხ. გამოსვლას. ამის შემდეგ დემონსტრატორები მწყობრათ გაემგზავრენ ამხ. თაბუკაშვილის მოედნისაკენ, სადაც არიან დასაფლავებული მენშევიკ-ბანდიტების ტყვიით განგმირული წითელი არმიელები.

ამხანაგებმა ვრცლად დაახასიათეს მენშევიკური პარტია და მისი უკანასკნელი სამარცხვინო გამოსვლა. მოიგონეს მათი ხულიგანური ხელით განგმირული ამხანაგი—წითელარმიელები, კომპარტიის წევრები ამხ. ამხ. ჩაჩანიძე და დავით ბერაძე, საქართველოს ახ. კომ. ლენ. კომკავშირის შორაპნის სამაზრო კომიტეტის წევრები ამხ. შალიკო სოფრომაძე და ვარდენ კუტალაძე. დასასრულ შორაპნის რაიპარტკომის სახელით ამხ. მშვენიერაძე წითელ დროშას აბარებს ა. ლ. კ. კ. შორაპნის რაიორგანიზაციას.

კომკავშირის სახელით ამხ. მენაბდე ფიცს სდებს, რომ იმ დროშას, რომელიც შეღებილია მუშათა კლასის საუკეთესო შვილების სისხლით და რომელზედაც წითელი ასოებით არის აღნიშნული ოქტომბრის დიადი მონაპოვარი, ძირს არ დაუშვებს და იბრძოლებს მთელი ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობის შესაკავშირებლად. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

შემდეგ მშრომელი ახალგაზრდობა იშლება იმ გადაწყვეტილებით, რომ მომავალ წელსაც უფრო მეტი ენერგიით და უფრო მეტი სიმტკიცით შეებრძოლონ საერთაშორისო კაპიტალიზმს და იმპერიალისტურ ომის საშიშროებას.

ვალ. ბუაჩიძე.

ამხ. არჩილ ბილანიშვილის და პეტა ფურცელაძის ხსოვნას

მენშევიკების სამარცხვინო ავანტიურამ გარე-კახეთის რაიონში იმსხვერპლა ორი ა. ლ. კ. წევრი ამხ. არჩილ ბილანიშვილი სოფ. პატარძეულში და ამხ. პეტა ფურცელაძე სოფ. მარტყოფში.

ამხ. პეტა ფურცელაძე იყო ღარიბ გლეხის შვილი, დამთავრებული ჰქონდა მხოლოდ სოფლის სკოლა. სიღარიბის გამო ვერ შესძლო სწავლის გაგრძელება. ამხ. პეტა ჩაეწერა კომკავშირში და პირნათლად ასრულებდა ამხანაგების ყოველგვარ დავალებებს. განზრახული იყო მისი გაგზავნა პარტსკოლაში, მაგრამ არ დასცალდა. ვერაგულად გამოსროლილმა მტრის ტყვიამ უდროოთ შესწყვიტა მისი სიცოცხლე.

ამხ. არჩილ ბილანიშვილი მსახურობდა ადგილობრივ მილიციაში. ღარიბ ოჯახის შვილი, ისიც ერთგულათ ემსახურებოდა მუშათა კლასის და გლეხობის საქმეს.

როდესაც ის მიდიოდა ქუჩაში 28 აგვისტოს, მას თავს დაესხა ბანდა ოფიცრებისა და დაუპირეს იარაღის წართმევა. ამხ. ბილანიშვილმა მათ არ დაანება იარაღი. ამ დროს მეორე ბანდიტმა ესროლა და გამოასალმა სიცოცხლეს. შემდეგ აჰყარეს იარაღი და ფეხზედაც გახადეს.

მიუხედავათ ხანმოკლე სიცოცხლისა ამხ. ამხ. არჩილმა და პეტამ ყველა ამხანაგებს დაუმტკიცეს თავიანთი სიმამაცე და ბრძოლის უნარი.

გარე-კახეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის წევრები ფიცს ვსდებთ, რომ ავიღებთ სისხლს, სამაგიეროს გადავუხდით პეტას და არჩილის მკვლელებს.

მშვიდობით ამხ. ამხ. პეტა და არჩილ! თქვენი სახელი მუდამ ამოუშლელი დარჩება ყველა თქვენი ამხანაგების გულში!

ა. ლეინერია.

გამოფხიზლებულ მენშევიკების ხმა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ლიდან საქართველოს გასაბჭოე-ა ჩვენ თვალს ვადევნებდით იმათ, ინც ებრძოდენ მუშურ-გლეხურ მთავ-ობას, და გვეგონა რომ ისინი იყვენ შრომელი ხალხის ინტერესების დამ-ველნი და რაკი მათი მელა-კუდური იტყვებით დარწმუნებული ვიყავით ენს საბოლოო გამარჯვებაში, ჩვენც ნი ცოდნისა ძ ენერგიის მიხედვით, წეოდით არალეგალურ მუშაობას ამ ნასკნელ ხანებში. ჩვენ დარწმუნე-ლი ვიყავით, რომ ჩვენს გვერდით, განვლილ სამწლი-ნახევარ მუშაო-დროს, იდგა მშრომელი მასა და ოველგვარ პრივილეგიებს მო-ლი თავად-აზნაურები, სასუ-ო წოდება და ჩარჩ სპეკულიან-. მაგრამ უკანასკნელმა ავანტიუ-ულმა გამოსვლამ ჩვენთვის ნა-ყო მენშევიკების ვინაობა და და აეხადა მათ ყოველივე გასულ ლ მოღვაწეობას. ამ უაზრო გამო-მ ერთხელ და სამუდამოდ გაგვე-ნა მათთან კავშირი და ჩვენ ნ სასტიკი მოწინააღმდეგე- მათი, როგორც სიტყვით, თ.

ისია თვალი გადაავლო მენ- „მოღვაწეობას“, რომ სავ-არწმუნდეთ მათ ავანტიურა- ერთ-ერთი მონაწილენი ვართ ნტიურისტული გამოსვლისა და ლებოდით ხიდისთავის თემის წოდებულ—„თავდაცვის კო-ტის“ წევრებად. ჩვენ კარგად ვდით, თუ როგორ მოტყუილე-გამოყავდათ ხალხი, თუ როგორ ვადენ დაწესებულებებს ბანდი-: მათითაიშვილი, მუხაშავრია და ჩვენ შეძლების დაგვარად ვცდილობდით ს. ხიდისთავი დაგვეცვა ძარცვა-გლეჯისაგან, მაგრამ, საუბედუროთ ეს სავსებით ვერ შევძელით. ბანდიტებმა ხიდისთავში გამოვლის დროს წაგვართვეს 110 მან.—აღმასკომის თავმჯდომარეს ე. ჩიგოგიძისაგან ჩამორთმეულ ფულებიდან; ამას გარდა გაიტაცეს რამოდენიმე კომუნისტების ცხენები. დანარჩენი დაწესებულებების დაცვა შევსძელით, როგორიცაა კოოპერატივი, აფთიაქი და სხვა.

მენშევიკების რიგებში ჩვენ ვხედავდით, ტყეში გაქცეულ ყაჩაღებს, თავად-აზნაურობას, მღვდლებს და სხვა ნაძირალებს. ყველა ამან ჩვენ დაგვარწმუნა მათ ავანტიურაში, უნიადაგობაში და მტაცებლობაში. ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ ვწყვეტთ მათთან კავშირს, ჩვენში სავსებით აღმოიფხვრა სიმპატია მენშევიკურ პარტიისადმი და მის ლიდერებისადმი. ჩვენ ვითხოვთ მოგვეცეს საშუალება, რათა ჩვენი მუშაობით გაუმკლავდეთ მათ და ღირსეული პასუხი გავცეთ მატყუარებს და ხალხის მტრებს, რასაც ჩვენ დავამტკიცებთ საქმით და ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად შეუდგებით მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობას.

ძირს გაბანდიტებული მენშევიკური პარტია!

ძირს თავად-აზნაურობა!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

შალვა კუტუბიძე, გერმანე ლომთათიძე, ვანო ლომთათიძე, კოტე გოგიბერიძე.

,,კომუნისტის'' რედაქციას

13 წლიდან 1920 წლამდე მე ვებოდი რუსეთის სოციალ-დე-რატიული (მენშევიკური) პარტია- 1921 წელს ფაქტიურად თავი ანებე პარტიაში მუშაობას, რად-დაერწმუნდი, რომ რუსეთის და რთაშორისო სოციალ-დემოკრა-ის მუშაობა ობიექტიურად მიმარ-ულია სოციალისტურ რევოლიუ-ის წინააღმდეგ. დღევანდლამდის მხოლოდ ანკეტებში ვაცხადებდი რტიიდან გამოსვლის შესახებ, რადგან ვფიქრობდი, რომ ზედმეტი იყო ოფიციალურად გამოცხადება იმ პარტიიდან გასვლის შესახებ, რომელიც ცოცხალ ლეშად გადაიქცა.

რუს სოც.-დემ. პარტიიდან გამოსვლის ჩემ მიერ ოფიციალურად არ გამოცხადებამ შექმნა მთელი რიგი გაუგებრობისა. მათი თავიდან ასაცილებლად მე ოფიციალურად ვაცხადებ, რომ მე 1921 წლიდან დავსტოვე მენშევიკური პარტია.

მ. ს. ფერბერგი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის ოფიციალური კურსი

(17 სექტემბერს).

სტერლ. ეფექტ.—8 მ. 67 კ.
სტერლ. ჩეკი —8 მ. 32 კ.
ი ეფექ. —1 მ. 94 ნახ. კ.
ი ჩეკი —1 მ. 85 კ.
ალ. ლირა —1 მ. —
ლირა 100 ც. —8 მ. —

აქონლის მიწოდება.

მბაქოს ტრესტის ნაწარმოებნი, ვტრესტორგ“-ის ნაწარმოებნი (მი-, ფაიფური, ჭურჭლეულობა), შაქ-ის ტრესტის პროდუქცია, „ხლე-ოპროდუქტ“-ის ხორბლის ფქვილი, აპონი ტუალეტის და „პეტუხ“, უკ-რაინის საფეიქრო პროდუქცია, „ქიმ-ნახშირი“-ს პროდუქცია, თამბაქო ფურცლოვანი—ლაგოდეხისა, ცემენტი პორტლანდიური, კრასნოდარის საპონი 1 ხარ. იადრ., მუხუდო 500 ფუთი, შალი კავკასიური 10.000 არშ., ჭვავი, რუს. ქაღალდის და სელის მანუფაქტურა 23 შეკვრა, ფეხსაცმელი სხვადასხვა, ჩექმები ინგლისური, პერანგები ნარმის, ქვამარილი ნახიჩევანის.

მოთხოვნილება.

ხორბლის ფქვილი, ცემენტი პორტლანდიური, ზეთი მსესუმზირის, ცხიმები და ზეთეული, საპონი, ლურსმანი საამშენებლო, რკინა, ტოშრეები სელის, მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარ., შაქარი ფხვნილი და რაფინადი, ბრინჯი აკულა, ჭვავი; პარფიუმერია, ბრინჯი ბაქოს, შუშის საგნები.

კოოპერაცია

კოოპერაცია იპყრობს კერძო ბაზარს

ჩვენი კოოპერატივები თანდათან ობენ კერძო ბაზარს. მუშკოოპმა მთელი მეპურეების და მეპა-ეების თარეშს; ამ პროდუქ- და სხვა პირველ საჭიროების ლს ის აწვდის უმთავრესად კოოპერატიულმა ამხ.-ბამ ქართლმა“ აიღო ქალაქისთვის მიწოდების საქმე და მრავალ ნის თავის ხორცით სა- რითაც კერძო მეყასბენი ეული არიან. მაგრამ „სალ- ბაზარში დამპალი და უვარ-ქონელი მოიპოვება; აქ ყოვე-ჩა მოწყობილებულია იგი კარგი ხარისხის საქონლით შეატყუოს მყიდველს.

ასეთ ამბებსაც ეხლა ამ ბაზარზე ბოლო ეღება; აქაც შეიჭრა ჩვენი კოოპერატივი და თანდათან იპყრობს მას. ბაზრის ერთის მხრივ გახსნილია „წითელი ქართლის“ ხორცით სავაჭრო, მეორეს მხრივ „წარმოკავშირის“ და შიგ ბაზარში დადგმულია „წარმოკავშირის“ საქათმეები, რომელიც ქათმებით ვაჭრობს; მისი ლამაზი ზედწარწერა შორიდანვე იპყრობს ადამიანის თვალს. ამნაირათ აქაც ბოლო ეღება ჩარჩების მადას.

სოფლის კოოპ. სალამო

ოპერაციის საერთაშორისო ყრილობა

(საუბარი ამხ. ხინჩუკთან)

კოვი. 17 სექტემბერი. „როს- თანამშრომელთან საუბრის საერთაშორისო კოოპერატიულ ობიდან დაბრუნებულმა ცენტ-ვშირის თავმჯდომარემ ამხ. ხინ- განაცხადა:

თა კავშირის დელეგაცია კო-ნიულ კონგრესზე გამოვიდა ებით შემდეგ საკითხების შე- კოოპერატივების „ნეიტრალო-ა“, თიანება პროფინტერნთან, ალ ომების საშიშროებასთან ბრძო-, გაერთიანების ურთიერთობა ერ- ლიგასთან და კოოპერაციის კლა-ური ხასიათი. ყველა ამ საკითხებ- საბჭოთა დელეგაცია ატარებდა კიცე კომუნისტურ ხაზს.

კონგრესის დამოკიდებულება საბ-თა დელეგაციისადმი ხასიათდება ძლევი ფაქტით. ამხ. ხინჩუკთან მი-ა ალბერ ტომა და უთხრა მას: მე დიდის ინტერესით და გაკვირ-ვადევნებ თვალყურს იმას, თუ ენერგიით იცავს თქვენი თავის შეხედულებებს და ლიტიკას.

საბჭოთა დელეგაციის ამოსვლის დროს, მთელი განსაკუთრებული ყურად- ღიწყნარით ისმენდა ორა-. საბჭოთა დელეგაცია კმაყო- უნდა დარჩეს თავისი მუშაო-შედეგებით, რადგან ენერგიულად ებდა ის თავის პოლიტიკას და წინასწარ ემზადებოდა გამოსვლისათვის ყოველდღიურ სხდომებზე.

„ჩვენ თათბირებზეო, განაცხადა ხინჩუკმა, ესწრებოდენ არა მარტო საბჭოთა კავშირის დელეგატები, არამედ სხვა ეროვნულ კოოპერატიულ ორგანიზაციების ის დელეგატებიც, რომლებიც ჩვენ თანაგვიგრძნობდენ. ჩვენ მოვახერხეთ წაგვეერთმია ეროვნულ კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის 30-ზე მეტი ხმა, რომლებიც შეუერთდენ ჩვენ რეზოლიუციებს და წინადადებებს. უნდა ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ შემდეგი კონგრესი მოგვცემს ჩვენ კიდევ უფრო დიდ შედეგებს, კოოპერატიულ მასების გარევოლიუციონერების მხრივ.

კონგრესმა დაადგინა შევსებული იქნას აღმასკომი ახალი წევრით. წარმოიშვა საკითხი ვისთვის უნდა დაეთმოთ ეს ადგილი. წამოყენებული იქნა ამხ. ხინჩუკის და ერთ ჰუნგრელის კანდიდატურა; ჰუნგრელი იცავდა თავის კანდიდატურას იმით, რომ მას არ შეჰქონდა განხეთქილება კონგრესის რიგებში, როგორც ამას საბჭოთა დელეგაცია სჩადიოდა, მიუხედავად იმისა, ჰუნგრელის კანდიდატურამ მიიღო მხოლოდ 4 ხმა (ერთი ხმა მისი საკუთარი, ერთი ხმა—ლატვიის წარმომადგენლის და ორი—ფინეთის წარმომადგენლების), გაერთიანების ცეკას დანარჩენმა წევრმა—რიცხვით 50 კაცზე მეტმა—ხმა მისცეს ამხ. ხინჩუკის კანდიდატურას.

სოფლის კოოპერაციის საღამო

მოსკოვი. 17 სექტემბერი. დიდ თეატრში გაიმართა სრულიად რუსეთის სასოფლო კოოპერაციის საღამო, რომელიც მოაწყო გაზეთ „ბედნოტა“-მ საბჭოთა რუსეთის საუკეთესო კოოპერატივების დაჯილდოების გამო. გაზეთის კონკურსზე გამოგზავნილი იყო 1800 განცხადება, აქედან გამოქვეყნებული იყო 114. ამხ. **კალინინის** თავმჯდომარეობით შემდგარმა სპეციალურმა კომისიამ დაადგინა მიეცეს ჯილდო 5 კოოპერატივს.

საღამოზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. კალინინმა აღნიშნა კოოპერაციის როლი სოციალისტურ საფუძვლებზე—სოფლის ცხოვრების მოწესრიგების საქმეში.

„სოფლის კოოპერაციის პრობლემა, სთქვა ამხ. კალინინმა, ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის. კოოპერაციას ჯერ კიდევ არ მიუღია გლეხისათვის მისაღები ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფლის საწარმოვო ძალთა განვითარებას“.

ბოლოს ამხ. კალინინმა გამოსთქვა სურვილი, რათა დაჯილდოვებულ კოოპერატივების მიღწევანი შეითვისონ და ცხოვრებაში გაატარონ სოფლის საშუალო კოოპერატივებმა.

მიწად-მოქმედების სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. **სვიდერსკიმ**, რომელიც შეეხო კოოპერატივის როლს მოუსავლიან გუბერნიაში, აღნიშნა მისი სისუსტე ბევრ რაიონებში. ამასთანავე განაცხადა, რომ იმ ადგილებში, სადაც კოოპერაცია იყო ძლიერი, მან შეასრულა თავისი დანიშნულება. მაგალითად სათესლე მასალის განაწილება თავის დროზე იყო შესრულებული და არ შემოსულა არავითარი საჩივარი უწესოთ განაწილების შესახებ.

ამხ. სვიდერსკიმ ხაზი გაუსვა, რომ თვით ცხოვრება აყენებს გლეხს კოოპერაციის გზაზე.

ამხ. **ბუდიონიმ** ისურვა სოფლის კოოპერაციის წარმატება.

სიტყვების შემდეგ გაიმართა საპატივსცემლო ზეიმი კოოპერატივების: ბორისოგლების სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის, ნიჟეგოროდის გუბერნიის სერგაჩის მაზრის კოოპერატიულ არტელის „ზარია სვობოდი“-ს, ბლაგოვეშჩენსკის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის, რიბინის მაზრის კოროტკინის კოოპერატივის და პაველოვო პოსადსკის კოოპერატივის დაჯილდოების გამო.

პროფკავშირებში

აჭარისტანის პროფსაბჭოს მუშაობა

სტიპენდიანტების გაგზავნა.

აჭარისტანის პროფსაბჭოსთან შესდგა სპეციალური თათბირი თბილისში მუშათა ფაკულტეტზე სტიპენდიანტების გაგზავნის შესახებ. მუშფაკულტეტის ქართულ განყ. გაიგზავნა 8 კაცი, რუსულზე 4 კაცი. სტიპენდიანტები მიიღებენ თვეში 25 მანეთს 1 ოქტომბრიდან.

უნივერსიტეტში გაგზავნა.

პროფსაბჭოს დათმობილი ჰქონდა 60 ადგილი თბილისის სახუნივერსიტეტში. სპეციალურმა კომისიამ გაგზავნა ყველა მსურველები, რომლებსაც თხოვნა ქონდათ შემოტანილი. სახუნივერსიტეტში გაგზავნილი სტუდენტები სტიპენდიას არ მიიღებენ.

ჯავშნოსანთა 4 წლის თავზე.

აჭარისტანის პროფსაბჭო ჯავშნოსან მატარებლის შეფია. ამ დღეებში სრულდება ჯავშნოსანების 4 წლის თავი, რომლის აღსანიშნავათ პროფსაბჭომ ჯავშნოსნელთა კვების გასაუმჯობესებლად გადასდო 100 მანითი.

უმუშევართა თვიური.

შრომის სახკომატმა შუამდგომლობა აღძრა პროფსაბჭოს წინაშე, რომ უმუშევართა სასარგებლოთ მოეწყოს თვიური (**месячник**). პროფსაბჭომ მოსთხოვა სათანადო გეგმის წარმოდგენა.

შრომის ბირჟის რეორგანიზაცია.

აჭარისტ. პროფსაბჭომ დაამტკიცა აჭარისტანის შრომის ბირჟის რეორგანიზაციის პროექტი. რომელიც შრომის სახკომატმა წარმოუდგინა. რეორგანიზაცია დაიწყება უმუშევართა წმენდის დასრულებისთანავე.

უმუშევართა წმენდა.

პროფსაბჭომ წინადადება მისცა კავშირების პასუხისმგებელ მდივნებს აუცილებლივ დაესწრონ სათანადო სექციების უმუშევართა წმენდას, რომ ადგილი არ ექნეს გაუგებრობას და მომავალში ყოველგვარი გასაჩივრება თავიდან აცილებულ იქნას.

სურამის დასასვენებელი სახლი.

პროფსაბჭომ მოიწონა სურამის დასასვენებელ სახლის მუშაობა მიმდინარე სეზონში და წინადადება მისცა დამზღვევ სალაროს მომავალ წელში 70 ადგილის მაგიერ გახსნას სურამის დასასვენებელ სახლში 100 ადგილი.

წითელ ჯარში

1-ლ ლეგიონის ცხოვრება

სამშაბათს, 16 ენკენისთვეს პირველი ქართულ ლეგიონის კლუბის დარბაზში მოხდა ლეგიონის წითელარმიელთა და უფპოლიტშემადგენლობის კრება. ლეგიონის მთელი შემადგენლობა უკლებლათ მოგროვდა. საღამოს 7 ნახევარ საათზე კრება გაიხსნა ლეგიონის სამხედ. კომისარის ამხ. ბახიას თავმჯდომარეობით. მოხსენება გურიაში ბანდიტურ გამოსვლის შესახებ გააკეთა ამხ თენგიზ ელენტმა. მომხსენებელი მონაწილე იყო ბანდიტიზმის ჩაქრობის. თემა საინტერესო იყო. მოხსენება გაგრძელდა ორ საათზე მეტს. კრებას დაღლილობა არ ეტყობოდა და გულდასმით უსმენდნენ მომხსენებელს; „აჯანყების“ მოწყობის ამდენი მზადება, საფრანგეთის და ინგლისის დესანტების და ჰაეროპლანების მოლოდინი, თავადაზნაურობის საზეიმო მოქაზმვა, ჯუღელ-ხომერიკ-ჩხიკვიშვილის უნაყოფო „კამანდიროვკა“, ქართველ მენშევიკურ ემიგრაციის აპეტიტები და პორტფელების მოლოდინი, პროვოკაციული მანერები გლეხობის ჩასათრევათ და სხვა ათასგვარი ორგანიზაციები. რისთვის? ზოგან ორი საათის და ზოგან ორი დღის ბატონობისათვის, 1400 ეკლესიების აღდგენის სურვილისათვის.

ზოგან ამაღელვებელი იყო მენშევიკების მოქმედება, ზოგან სასაცილო და საცოდავი. მომხსენებელმა წაიკითხა მენშევიკების „მოწოდება“ და „ბრძანებები“, დაახასიათა თავად-აზნაურობის თარეში და გლეხობის მათდამი დამოკიდებულება. დასასრულ სიხარულით აღნიშნა ჩვენი დივიზიის მცირე ნაწილის, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ბანდიტიზმის ლიკვიდაციაში, წითელ არმიელების საუცხოო მოპყრობა მცხოვრებთა მიმართ, წითელ არმიელთა საუბრები გლეხებთან და გატაცებული სურვილი ბანდიტებთან ბრძოლისა. აღნიშნა აგრეთვე ის გარემოება; თუ როგორ შემოუერთდა ჩვენ ნაწილებს ბანდიტებთან საბრძოლველად ძველი, უვადო შვებულებაში წასული წითელარმიელები.

ამხ. თენგიზის სიტყვა ტაშით იქნა დაფარული.

შემდეგ სიტყვა აიღო პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე ამხ. სიხარულიძემ ამავე საკითხზე.

აქვე ამხ. ჰკუსელმა გააკეთა მოკლე მოხსენება სამხედრო სკოლის შესვებაზე.

გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუციები. კრება ნასიამოვნები დაიხურა.

გ. ძ—ია.

მეცნიერება-ტეხნიკა

ფილტვის სნეულებათა ახალი წამლობა

რომიდან მიღებულია ცნობა, რომ დოქტორ ალექსანდრე ტომარკინს მრავალ წლის კვლევისა და ცდების შემდეგ აღმოუჩენია ახალი საშუალება პნეიმონიის ე. ი. ფილტვის ანთებისა და ბრონხოპნეიმონიის, ე. ი. ფილტვებისა და სასუნთქავ ორგანოების ანთების წინააღმდეგ. ახალი წამლობა ეგრედ წოდებულ „ანტიმიკრობი“-ს საშუალებით მდგომარეობს ორგანიზმის საერთო სტერილიზაციაში (გაწმენდა) ამ სნეულებათა გამომწვევ ბაქტერიების მოსაკლავ საშუალებების სხეულში შეტანით. ეს საშუალება წარმოადგენს ქიმოტერაპიის შესწავლისა და გამოყენების ნაყოფს.

წამლობის შედეგები, შესამჩნევი აღმოჩნდა. დოქტორ ტომარკინმა მოახდინა ფილტვის სნეულებათა ექიმობის მრავალი ცდა რომის უნივერსიტეტის კლინიკაში კლინიკის გამგე პროფესორ ნაზარის მეთვალყურეობით, რის შემდეგ ცდების შედეგები გამოქვეყნებული იყო იტალიურ მედიკურ ჟურნალებში. ცნობილია, რომ პნეიმონიით და ბრონხოპნეიმონიით ავადმყოფთა შორის კვდება 33—35 პროც. ახალი წამლობის შედეგში კი მკვდოვანობის პროცენტი შეადგენს ორზე ნაკლებს. ფაქტიურათ 60 ავათმყოფიდან გადაიცვალა მხოლოდ 1 კაცი.

ოქროს მარაგი და ამოღება მსოფლიოში.

უკანასკნელ შვიდი წლის განმავლობაში ოქროს ამოღება ყოველწლიურად კლებულობდა და მხოლოდ წარსული 1923 წელს თავი იჩინა საწინააღმდეგო მოვლენამ. წარსულ წელს ამოღებულ იყო სულ 530.626 კილოგრამი წმინდა ოქრო, რაც წინა წლის ამოღებას აღემატება 62.269 კილოგრამით. მაგრამ 1923 წლის ციფრი მაინც 176.048 კილოგრამით ნაკლებია სარეკორდო 1915 წლის ციფრზე.

ოქროს უდიდეს მწარმოებელს წარმოადგენს ინგლისი, რომელმაც მთელს თავის სამფლობელოში (დომინიონებსა და კოლონიებში) მოიპოვა 383.289 კგრ. ოქრო ე. ი. 1923 წელს მიღებულ მთელი რაოდენობის 72 პროცენტი. მეორე ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს (77,3 ათასი კგრ.), ხოლო მესამე—რუსეთს (45.8 ათასი კგრ.).

მსოფლიოში არსებულ ოქროს მარაგის ღირებულება შეადგენს 50 მილიარდ ოქროს ფრანკს. ამ რაოდენობიდან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთ. შტატებს ეკუთვნის თითქმის ნახევარი,—23 მილიარდი ოქროს ფრანკი.

პირველი გაფრენა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრთათვის

საქართველოს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი საზოგადოების წევრთა დაჟინებით თხოვნის დაკმაყოფილების მიზნით კვირას, 21 სექტემბერს აწყობს მასიურ ექსკურსიას ჰაეროდრომზე და პირველ გაფრენას საზოგადოების წევრთათვის.

„იუნკერსით“. აფრინდება 48 კაცი, რომლებიც რაიონების მიხედვით ნაწილდებიან შემდეგნაირად: 1, 2 და 3 რაიონებს—10 ადგილი, 4 რაიონს 8 ადგილი და ტფილისის გარნიზონის სამხედრო ნაწილებისათვის—10 ადგილი.

მიცემულ ადგილთა რიცხვი განაწილებულ იქნა რაიკომების მიერ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების იაჩეიკებს შორის.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზ-ის იაჩეიკებს წინადადება ეძლევათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ექსკურსიაში და იაჩეიკების სხდომებზე განიხილონ საკითხი საჰაერო ფლოტის მეგობ. საზო-ის წევრთა გამოყოფის შესახებ, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფრენაში.

ექსკურსანტების შეკრების ადგილი—ჰაეროდრომი დღის 10 საათი.

საქ. საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება.

ქრონიკა

— **კოოპერატივების მოქმედება—სოფლად.** გურჯაანის კოოპერატივმა ერთი წლის განმავლობაში დაამზადა და ჩააბარა სხვადასხვა ორგანიზაციებს 7.866 ვედრო ღვინო, 335 ვედრო არაყი, 3.000 ფუთი სიმინდი, 300 ფ. ღორის ხორცი და 50—60 ფ. საქონლის რქა.

— **მუშათა კოოპერაციისთვის.** ამ ჟამად ცეკავშირი იმუშავებს დებულებას მუშათა კოოპერაციისთვის. ამ დებულებაში განსაზღვრული იქნება მუშათა სექციის ფუნქციები.

— **ჩაის პლანტაციების სივრცე.** მიწად-მოქ. კომისარიატის ცნობით, მიმდინარე წელს ჩაის პლანტაციას უჭირავს ჩაქვის სახალხო მამულებში 540 დესეტინა მიწა, სალიბაურის 105 დესეტ. ახალ სხვა მამულებში 110 დესეტ. კერძო ჩაის პლანტაციებს—200 დესეტ. გურიაში—110 დესეტ. სამეგრელოში—25 დესეტ. სულ მთელ საქართველოში 1.090 დესეტინა.

— **კოოპერატიული დაზღვევა და გლეხობა.** წარმოკავშირმა თავის უახლოეს ამოცანად დაისახა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან ერთად გლეხობაში გაავრცელოს და ხელი შეუწყოს კოოპერატიულ დაზღვევის საქმეს.

— **ავლაბრის მუშათა კლუბში.** 16 სექტემბერს ავლაბრის მუშათა კლუბში წარმოდგენილი იყო სომხურ ენაზე „საიათნოვა“. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდენ აბგარიანი, ტერ-აკოფიანი, ფირუმიანი, ასტლიკა და სხვები. წარმოდგენა მწყობრად ჩატარდა.

— **დამზღვევი კასის კომიტეტის ხელ-ახალი არჩევნები.** ახლო ხანში მოხდება დამზღვევი კასის კომიტეტის ხელახალი არჩევნები. არჩევნების ჩასატარებლათ მოხდება მუშა-მოსამსახურეთა კრება.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტმა** სოფ. კასპში ადგილობრივ გლეხკომისაგან აიღო 22 დესეტინა მიწა კულტურული მცენარეულობის გასაშენებლად.

— **მიწის ძვრა.** 16 სექტ. საღამოს 5 საათზე და 33 წუთზე, მთელ ქალაქში შემჩნეული იქნა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც გაგრძელდა წუთნახევარს.

— **ახალი წყარო ბორჯომში.** ბორჯომში აღმოჩენილი იქნა ახალი მინერალური წყარო, რომელიც დაახლოვებითი გამოანგარიშებით დღეღამეში მოგვცემს 2000 ვედრო წყალს.

— **სამხ. რევტრიბუნალში.** დღეს 18 სექტ. გაირჩევა ცხენ. ლეგიონის ჯარისკაცების სიკო ჯაშიაშვილის და ალექსანდრე ბოყვიშვილის საქმე, პირველს ბრალდება დეზერტირობა და მეორეს დეზერტირობასთან ერთად სახაზინო ქონების გაფლანგვა.

— **ამხ. კამოს ძეგლი.** პუშკინის ბაღში უკვე შეუდგენ კამოს ძეგლის კვარცხლბეკის დადგმას, კვარცხლბეკს გარშემო ექნება ამოკვეთილი სურათები.

— **თრიმლის დათესვა.** მთაწმინდაზე ტყის მოშენების მიზნით უკვე შეუდგენ თრიმლის თესვას.

— **შინ. საქ. სახ. კომისარიატის მუშაობა.** შინ. საქ. კომისარიატმა შეადგინა ივლის-აგვისტოში თავის მოქმედების ანგარიში, რომელიც დაეგზავნებათ სათანადო ორგანოებს.

— **ახალი ადგილკომი.** 15 სექტ. შინ. საქმეთა სახ. კომისარიატის თანამშრომლებმა აირჩიეს ახალი ადგილკომი.

— **წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია.** ტფ. პოლიტ-განათლებას განზრახული აქვს ტფ. და მის მაზრაში ყოველწლიურად ასწავლოს 16 ათას კაცს.

— **კინო-მრეწველობა ა.-კავკასიაში.** ა.-კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატთან შემდგარმა თათბირმა დაადგინა დაარსდეს ერთი მთლიანი ორგანიზაცია კინო-მრეწველობის საწარმოებლად ა.-კ. მასშტაბით.

— **სასკოლო დგამები.** ტფ. პოლიტგანათლებამ გაანაწილა საბავშო ბაღებ შორის სასკოლო დგამები და ნივთები სულ 1,650 ცალი.

— **საქ. კინო-მრეწველობა.** ვინაიდან საქ. კინო-მრეწველობის მოქმედება ღებულობს ფართე ხასიათს, გადაწყდა შეძენილი იქნას დიდი შენობა, სადაც მოთავსებული იქნება როგორც კინოს კანტორა, ისე კინოფილმის ქარხანა ყოველგვარი მოწყობილობით.

— **დახმარება მეძუძურ ბავშვებს.** მეძუძურ ბავშვებისათვის რძის ფულათ ტფ. დამზღ. კასამ აგვისტოში გასცა 6.601 მან.

— **საექიმო დახმარება.** აგვისტოში ტფ. დამზღ. კასამ ჯანმრთ. განყოფილებას გადასცა დაზღვეულების საექიმო დახმარებისათვის 37.343 მან. 64 კაპ.

— **უმუშევართა გაწმენდა.** 15 სექტ. შრომის ბირჟის ყველა სექციებში დაიწყო უმუშევართა გაწმენდა.

— **წნორის ჭაობების ამოშრობა.** ცეკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციების შუამდგომლობით ცეკავშირის ტეხნიკურმა ქვე-განყოფილებამ გამოიმუშავა წნორის ჭაობების ამოშრობის ხარჯთ-აღრიცხვა. განზრახულია 20 ათას დესეტინა ჭაობისამოშრობა. მუშაობა უკვე დაიწყო.

„გრიგალი“. საქართველოს პროლეტკულტის რეჟისორთა კომისიამ მოიწონა და წითელ თეატრს დადგმისათვის გადასცა **ნ. ინასარიძის** რევოლიუციონური დრამა „გრიგალი“.

შემთხვევები

— ქურდობა 16 სექტ. ვერის დამართხე № 16 გაქურდეს კედლის გამონგრევის საშუალებით მოქ. ლევან რუხაძის გასტრონომიული მაღაზია.

— ცეცხლი. 16 სექტ. საღამოს 8 საათზე 1-ლ მშრომელ მეხანგრეთა ასეულის კოოპერატივს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე იქნა ჩაქრობილი.

— ქურდობა. 16 სექტ. ღამის 2 საათზე ამატუნოვის ქ. № 30, ბოროტ-მოქმედთა მიერ გაქურდულ იქნა რაჭენკოს ბინა, წაღებულია 30 მან. ნივთები.

— 16 სექტემბერს ღამით გაქურდეს სიმიონოვის ქ. № 1, სერგო ნაბურნსის ბინა.

— ამავე დღეს ქსენიევის ქ. № 11, გაქურდეს ვასილ აბჯას ბინა, მისი სახლში არ ყოფ. ნის დროს.

— 18 სექტ. პლეხანოვის პრ. № 14, ფ.-ტელეგრაფის კანტორაში გატეხეს სალაროს ყუთი, წაიღეს 100 მან. ფულათ და 20 მან მარკები. ეჭვით შეიპყრეს დარაჯი ჩხეიძე.

— „გასტრალიორის“ შეპყრობა 15 სექტ. სისხლის სამართლის მილიციამ სადგურის ქ. სასტუმრო „ბელგრადში“ შეიპყრეს ვინმე მიხეილ ტამკევიჩი, რომელსაც ბრალდება განათ. კომისარიატის საკანცელარიო მაღაზიის გაქურდვა (პლეხანოვის პრ.). ქურდი აღმოჩნდა ქუტაისის მცხოვრები.

— ქურდობა. 15 სექტ. პუშკინის ქ. № 5, უცნობი პირი შეიჭრა ივდითი ბერეჟკაშვილის ბინაზე და ხელიდან წაართვა სამაჯური და ოქროს ბეჭედი და მიიმალა ეჭვით შეიპყრეს მუშეტ მეგრაბიანი.

— თივის მოედანზე ღამის გასათევად დაბანაკებულ 15 სექტ. მეურმეს ნიკოლოზ ოკრაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 106 მან. ეჭვით შეიპყრეს სოფ. ვამბორის მცხოვრებნი—ვლადიმერ მირტაშვილი და ეფიმ მათეველი.

პროვინციაში

ბანდიტების გამოსვლა შემოქმედის თემში (გურია)

